მისაწვდომობის უზრუნველყოფა უმაღლეს განათლებაში

გზამკვლევი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაწვდომობის მომსახურების დაფუძნებისა და უზრუნველყოფისთვის

2024 წელი

გზამკვლევის შესახებ

წინამდებარე გზამკვლევი მომზადებულია უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დაფუძნების და განვითარების ხელშესაწყობად. დოკუმენტში წარმოდგენილი მიდგომები და შემოთავაზებები ეფუძნება განვითარებული ქვეყნების (მაგ. დიდი ბრიტანეთი, აშშ, ესპანეთი და სხვ.) ათწლეულების გამოცდილებას, ლიტერატურაში აღწერილ საუკეთესო პრაქტიკას, ადგილობრივ კონტექსტში განხორციელებულ კვლევებს და საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის სპეციფიკას.

გზამკვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია შეზღუდული შესაძლებლობის, დასწავლის სპეციფიკური სირთულეების, ქრონიკული და მწვავე სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის მქონე სტუდენტობის კანდიდატებსა და სტუდენტების სპეციალურ საგანმანათლებლო მხარდაჭერაზე, რომელიც უმაღლესი განათლების მისაწვდომობის გაზრდის მიზნით უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებული გამოცდების და უშუალოდ უმაღლესი განათლების პროცესში შეიძლება იქნას გამოყენებული. თუმცა, ინკლუზიური განათლების პრინციპებიდან გამომდინარე, ინდივიდუალური მიდგომა და სპეციალური მხარდაჭერა სტუდენტთა სხვა ჯგუფებთან მიმართებითაც შეიძლება იყოს გამოყენებული (მაგ. მარტოხელა დედა, ენობრივი უმცირესობების წარმომადგენელი).

გზამკვლევი ორი ძირითადი ნაწილისგან შედგება.

გზამკვლევის პირველ ნაწილში, დეტალურად არის განხილული სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების არსი, აღნიშნული მომსახურების სამიზნე ჯგუფები, აკომოდაციის სახეები, სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების პრაქტიკაში უზრუნველყოფის პროცედურები.

პირველი ნაწილის ბოლოს, დანართების სახით მოცემულია სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სხვადასხვა ფორმის ნიმუში.

დოკუმენტის მეორე ნაწილში, შემოთავაზებულია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების ერთეულის შექმნისთვის საჭირო ძირითადი ეტაპები და სხვადასხვა მოსამზადებელი ღონისძიებები.

იმედს ვიტოვებთ, რომ გზამკვლევი პრაქტიკულ ინსტრუმენტად იქცევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დაფუძნება-უზრუნველყოფისა და სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფის სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მისაწვდომობის გასაზრდელად.

გზამკვლევი მომზადებულია საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს პროგრამის „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობა“ ფარგლებში.

გზამკვლევის ავტორები:

მაია წულაძე - ინკლუზიური და სპეციალური განათლების სპეციალისტი

ეკატერინე დგებუაძე - ინკლუზიური განათლების სპეციალისტი

გზამკვლევზე მუშაობას კოორდინაციას უწევდა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი - თამარ ჟღენტი

შინაარსი

ტერმინთა განმარტება 6

ინკლუზიური უმაღლესი განათლება - საქართველოს კონტექსტი 11

უმაღლესი განათლების მისაწვდომობა 14

- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისაწვდომობის მომსახურება/მისაწვდომობის ცენტრი 21

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები 27

- მისაწვდომობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის/გასაუბრების დროს 28
- მისაწვდომობის უზრუნველყოფა სწავლის პერიოდში 32
- სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის დაფინანსება 34
- მხარდაჭერის გეგმა 35
- სპეციალური საგანმანთლებლო მომსახურების/მხარდაჭერის მიღების პროცედურა: 36

დანართები 39

- დანართი N1 მდგომარეობები, რომლებიც ექვემდებარება სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას 39
- დანართი N2 სტუდენტის განაცხადის ფორმა 44
- დანართი N3 სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია 49
- დანართი N4 სტუდენტის მდგომარეობაზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ფორმა 53
- დანართი N5 ინფორმაცია სტუდენტის პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ 55
- დანართი N6 მხარდაჭერის გეგმის ფორმა 59

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაწვდომობის მომსახურების ერთეულის ფორმირება 62

- შესავალი 62
- მისაწვდომობის ანალიზი 63
- უნივერსიტეტის ხედვის ფორმირება 66
- მისაწვდომობის კატალოგის შექმნა 67
- მისაწვდომობის ცენტრის შიდა სტრუქტურა და შემადგენლობა 69
- თემატური ქვეჯგუფების ფორმირება მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად 72
- უნივერსიტეტის საზოგადოების მომზადება 74

მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესების და ხარისხის შეფასების შიდა სისტემის 76

სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დაფინანსება 77
დამატებითი რეკომენდაციები უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომობის მომსახურების (სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების) დანერგვისთვის 79
გამოყენებულ წყაროები 80

ტერმინთა განმარტება

აღნიშნული გზამკვლევის კონტექსტში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობები:

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი – პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

შესაძლებლობათა შეზღუდვა – ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევის მქონე პირისათვის პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზების სხვებთან თანაბარი შესაძლებლობის არქონა, რაც განპირობებულია ფიზიკური გარემოს, საზოგადოების დამოკიდებულებისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობით; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

გონივრული მისადაგება – პრინციპი, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილების განხორციელებას გულისხმობს, რაც არ იწვევს არაპროპორციულ ან გადამეტებულ ტვირთს ან ვალდებულებას და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას სხვებთან თანაბარ პირობებში; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

უნივერსალური დიზაინი – პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამისა და მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც თითოეულ ადამიანს აძლევს მასზე სპეციალური ადაპტირებისა და სპეციალური დიზაინის გამოყენების გარეშე წვდომის საშუალებას. უნივერსალური დიზაინი არ გამორიცხავს, საჭიროების შემთხვევაში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე კონკრეტული ჯგუფის მიერ დამხმარე საშუალებების ან/და სხვაგვარი ხელშეწყობის გამოყენებას; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

მისაწვდომი გარემო – ფიზიკური, ინსტიტუციური და სოციალური პირობების ერთობლიობა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს აძლევს თანაბარ შესაძლებლობას ისარგებლოს ყველა საზოგადოებრივი სიკეთით, მათ შორის, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას კულტურულ, სპორტულ, პოლიტიკურ ან სხვა ღონისძიებაში მონაწილეობის, აგრეთვე ტრანსპორტით, საინფორმაციო და კომუნიკაციის საშუალებებით სარგებლობის შესაძლებლობას სხვებთან თანაბარ პირობებში; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

დამოუკიდებელი ცხოვრება – შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ავტონომია, მისი არჩევანის, გადაწყვეტილების მიღებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის თავისუფლება, რომლის რეალიზებაც, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია სხვების დახმარებით, მათ შორის, სხვადასხვა სერვისის მიწოდების გზით; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

პერსონალური ასისტენტის სერვისი – სერვისი, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს უწევს სათანადო დახმარებას დამოუკიდებელი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და საკუთარი ცხოვრების კონტროლის გაზრდის მიზნით, აგრეთვე განათლების მიღებისას, სამუშაო ადგილზე, საჯარო სერვისებით სარგებლობისას ან ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

ბიოფსიქოსოციალური მოდელი – პირის ჯანმრთელობის მდგომარეობისა და შეზღუდული შესაძლებლობის განსაზღვრის, გაზომვისა და პოლიტიკის ფორმირების მოდელი, რომელიც ყურადღებას ამახვილებს ფსიქოლოგიურ, ბიოლოგიურ და სოციალურ ფაქტორებზე და ადამიანის ორგანიზმის/ორგანოთა სისტემის, ქცევითი სტილის, კოგნიტური პროცესებისა და გარემო ფაქტორების ურთიერთკავშირს ერთობლიობაში განიხილავს; (საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 2020).

აკომოდაცია - სტუდენტის სწავლის/განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული ის ცვლილება/ცვლილებები, რომელიც/რომლებიც არ იწვევს სასწავლო შინაარსის ცვლილებას (მაგ. შინაარსის გამარტივებას), არამედ, ცვლის სწავლის უზრუნველყოფის გზებს საგანმანათლებლო პროგრამასა და გარემოზე სტუდენტის წვდომის გარანტირებისთვის. აკომოდაცია შეიძლება ეხებოდეს შინაარსის წარდგენის და სტუდენტის მიერ დავალების შესრულების ფორმას, სასწავლო მასალის მორგებას, დროის გახანგრძლივებას და სხვა მსგავსი ტიპის ცვლილებებს. აკომოდაცია შეიძლება განხორციელებული იყოს მთელი ჯგუფისთვის (მაგ. ლექციის ჩანაწერების გაზიარება სტუდენტების მიერ ჩანაწერების თავად გაკეთების ნაცვლად, წერილობითი ინსტრუქციების ხმამაღლა წაკითხვა სტუდენტებისთვის და სხვ) ან კონკრეტული სტუდენტისთვის ან სტუდენტთა მცირე ჯგუფისთვის მათი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე. აკომოდაციების გამოყენება მნიშვნელოვან მხარდაჭერას წარმოადგენს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. კურსის/საგანმანათლებლო პროგრამის მასალებში ან სასწავლო მეთოდოლოგიაში შეტანილი ცვლილება, რომელიც არ ცვლის კურსის აკადემიური და ტექნიკური სტანდარტების არსებით ხასიათს. სასწავლო გარემოს ფიზიკურ ატრიბუტებში ცვლილებები, რაც არ არღვევს/აფერხებს კლასის ან პროგრამის ძირითად აქტივობებს, დამხმარე ტექნოლოგია და სხვ.

მისაწვდომობის სერვისი/ცენტრი - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ორგანიზებული მომსახურება (სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება), რომელიც

ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის მათი განათლებისთვის საჭირო აკომოდაციების/მხარდაჭერის უზრუნველყოფასა და უნივერსიტეტში ინკლუზიური გარემოს განვითარებაზე. მისაწვდომობის სერვისი თანამშრომლობს სტუდენტებთან და უნივერსიტეტის აკადემიურ და არა აკადემიურ პერსონალთან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის თანაბარი და ინკლუზიური საგანმანათლებლო გამოცდილების შესაქმნელად. მისაწვდომობის სერვისები მოწოდებულია უზრუნველყოს თანაბარი წვდომა და შესაძლებლობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის სასწავლო და ექსტრაკურიკულურ პროგრამებში. გზამკვლევში ტერმინი „მისაწვდომობის ცენტრი“ გამოყენებულია სამუშაო დასახელებად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი ერთეულის აღსანიშნავად. თუმცა, აღნიშნული ტერმინი არ არის დამკვიდრებული საქართველოს კონტექსტში.

ინკლუზია/ინკლუზიური განათლება – თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება; (საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ).
შესაძლებლობებისა და რესურსების თანაბარი ხელმისაწვდომობის პრაქტიკა ან პოლიტიკა მათთვის, ვინც აღნიშნული ხელშეწყობის გარეშე შესაძლოა გარიყული ან მარგინალიზებული იყოს სასწავლო პროცესიდან/საგანმანათლებლო სივრციდან. მიდგომა და პრაქტიკა, რომელიც მიზნად ისახავს უზრუნველყოს ხარისხიანი განათლების მიღების თანაბარი შესაძლებლობა ყველასათვის, მთელი ცხოვრების მანძილზე. განათლებისადმი ინკლუზიური მიდგომა ნიშნავს, თითოეული ინდივიდის მოთხოვნილებების გათვალისწინებას და ყველა სტუდენტის საგანმანათლებლო მონაწილეობის/განათლების მიღების უფლების რეალიზებას.

უმაღლეს განათლებაში ტრანზიციის ხელშეწყობა - პირის საჭიროებებზე მორგებული და ეფექტიანად კოორდინირებული პროცესი, რომელიც გულისხმობს პირის/სტუდენტის და მიმღები გარემოს სათანადოდ მომზადებას, ხორციელდება ამ პროცესში მონაწილე მხარეების თანამშრომლობით და ემსახურება პირის/სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესში/საგანმანათლებლო გარემოში წარმატებულ ჩართვას. ცვლილებისთვის და ახალ გარემოში წარმატებული ფუნქციონირებისთვის მომზადებას .

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა (ისგ) - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტების თანახმად, ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უსდ უზრუნველყოფს

სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, ამასთან, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

სტუდენტის მხარდაჭერის გეგმა - უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის განათლების ხელშესაწყობად შედგენილი გეგმა, რომელიც ასახავს და აღწერს სტუდენტისთვის განსაზღვრულ აკომოდაციებს/მხარდამჭერ ზომებს და მათი უზრუნველყოფის პირობებს. გზამკვლევის კონტექსტში „მხარდაჭერის გეგმა“ გამოიყენება „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის“ ჩამნაცვლებლად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება - აღნიშნული ტერმინი მოიცავს საჭიროებების ფართო სპექტრს, მათ შორისაა ქცევითი, ემოციური, სოციალური, კომუნიკაციის, სმენის, მხედველობის, მოტორული, დასწავლისა და სხვა სირთულეები, რომელთა გავლენითაც, პირს ექმნება სწავლის/სასწავლო გარემოში სრულფასოვნად მონაწილეობის სირთულეები და ესაჭიროება მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული დამატებითი/გაფართოებული მხარდაჭერა და სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება შესაძლოა ჰქონდეს როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ისევე, აღნიშნული სტატუსის არმქონე პირს. გზამკვლევში ტერმინი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე“ ხშირად გამოყენებულია სხვადასხვა მდგომარეობით (მაგ., დასწავლის უნარის დაქვეითება/დასწავლის სპეციფიკური სირთულეების, მწვავე და ქრონიკული ჯანმრთელობის პრობლემების მქონე) სტუდენტთა ჯგუფის აღსანიშნავად.

ქართული ჟესტური ენა - ჟესტური ენა, რომელიც ბუნებრივ ენას წარმოადგენს, გაჩნდა ყრუთა საზოგადოებაში და ვითარდებოდა მისი მომხმარებლების, ყრუ ადამიანების მიერ. „ჟესტური ენა არავერბალური, ვიზუალური ენაა, როდესაც ინფორმაციის კოდირება მანუალური და მიმიკური საშუალებებით ხორციელდება (მუხლი 2, პუნქტი „ე“).[1] ქართული ჟესტური ენა წარმოადგენს საქართველოში მცხოვრები ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანების საკომუნიკაციო საშუალებას. „სახელმწიფო ცნობს ქართულ ჟესტურ ენას ადამიანთა შორის ურთიერთობის საშუალებად, ასევე ყრუ და სმენადაქვეითებული ადამიანებისათვის განათლების მიღების ერთ-ერთ საშუალებად და უზრუნველყოფს მისი გამოყენებისა და განვითარებისათვის აუცილებელი პირობების შექმნას“ (მუხლი 14, პუნქტი 3).[2]

[1] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი (2020).
[2] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონი (2020).

პირველი ნაწილი

ინკლუზიური უმაღლესი განათლება - საქართველოს კონტექსტი

ინკლუზიური განათლება და განათლების მისაწვდომობის უზრუნველყოფა სხვადასხვა მარგინალიზებული ჯგუფებისთვის, რომელთა შორის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ადამიანებს, გლობალურ გამოწვევად რჩება. განათლების სისტემის ინკლუზიურობა და განათლების ყველა საფეხურის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, საქართველოსთვისაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც განმტკიცებულია არაერთი საერთაშორისო შეთანხმებითა და ადგილობრივი კანონმდებლობით. ხელმისაწვდომობა და განათლებაში ჩართვა წარმოადგენს მდგრადი განვითარების 2030 წლის დღის წესრიგის მნიშვნელოვან ასპექტებს. მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი და მისი განხორციელების სამოქმედო ჩარჩო, ხაზს უსვამს ყველასათვის უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის უზრუნველყოფას განათლების ყველა საფეხურზე და განიხილავს ინკლუზიისა და თანასწორობის უზრუნველყოფას, როგორც განათლების ხარისხის საფუძველს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD), რომელსაც საქართველო 2014 წელს შეუერთდა, ხაზს უსვამს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას მიიღონ განათლება დისკრიმინაციის გარეშე და ჰქონდეთ თანასწორი შესაძლებლობები. ხარისხიანი ინკლუზიური განათლების სისტემის დანერგვა განათლების ყველა საფეხურზე ასევე ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებაა („შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი. მუხლი 8.1)

ინკლუზიური განათლების სისტემის განვითარება საქართველოში სახელმწიფო დონეზე 2006 წლიდან დაიწყო ზოგადი განათლების საფეხურზე და 2013 წლიდან, პროფესიული განათლების საფეხურზე გაგრძელდა. ზოგადად, განათლების სხვა საფეხურებთან შედარებით, უმაღლესი განათლება მიიჩნევა ყველაზე ექსკლუზიურ საგანმანათლებლო საფეხურად. შესაბამისად, უმაღლეს განათლებაში ინკლუზია და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფა, შედარებით რთულია პრაქტიკაში. უმაღლეს დაწესებულებებში ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფა საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების ნაწილსაც წარმოადგენს. ბოლონიის პროცესთან მიერთებით და ასოცირების შეთანხმების შესაბამისად, ასევე სხვა მრავალი საერთაშორისო შეთანხმების მიხედვით, საქართველოს ეკისრება უმაღლეს განათლებაში ინკლუზიის ხელშეწყობის ვალდებულება. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ[3] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება „ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული სწავლის პირობების შესაქმნელად“ (მუხლი 3.3.დ).

[3] “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონი

ამასთანავე, „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ქმნის შესაბამის პირობებს მათი სრულფასოვანი განათლებისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად, რაც განისაზღვრება „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონითა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით“ (მუხლი 43, მე-3 პუნქტი).

იმისათვის, რომ გაიზარდოს უმაღლესი განათლების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, მისაწვდომი უნდა იყოს, როგორც უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხვედრა, ასევე, შემდგომ უკვე საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა/სწავლის პროცესი, რაც ხშირად სპეციალური პირობების შექმნასა და გაფართოებულ მხარდაჭერას მოითხოვს. უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მოხვედრის შესაძლებლობის გასაზრდელად, უკვე რამდენიმე წელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტებისთვის დანერგილია გამოცდის ადაპტირების პირობები, რომელსაც შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი უზრუნველყოფს და რაც რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №19/ნ ბრძანებით ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ[4] (2011 წ.). აღნიშნული დოკუმენტი ადგენს სხვადასხვა საჭიროების მქონე აბიტურიენტებისთვის გამოცდისას სპეციალური პირობების უზრუნველყოფის პირობებს. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით, ყოველწლიურად დგინდება გამოცდებზე რეგისტრირებული უმაღლესი განათლების აპლიკანტთა მიერ წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციის განმხილველი კომისია, რომელიც გადაწყვეტილებას იღებს გამოსაცდელთათვის სპეციალური პირობების შექმნის თაობაზე. აღნიშნული სპეციალური პირობები მოიცავს საგამოცდო პროცესის და მასალის სხვადასხვა ტიპის აკომოდაციას, როგორიცაა მაგალითად: დამატებითი საგამოცდო დრო, ხმოვანი პროგრამის გამოყენების შესაძლებლობა, მორგებული მაგიდა, ბრაილით დაბეჭდილი ტექსტი, დამხმარე გადაადგილებაში და სხვა. სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონაცემების თანახმად, 2021-2023 წლებში შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის პრობლემების მქონე იმ აპლიკანტთაგან, რომელთაც გამოცდაზე ისარგებლეს სპეციალური პირობებით, 388 აბიტურიენტმა მოიპოვა უმაღლესი განათლების უფლება 43 უნივერსიტეტში და 48 მაგისტრობის კანდიდატმა - 18 უნივერსიტეტში მთელი საქართველოს მასშტაბით. თუმცა, მსგავსი სპეციალური პირობები არ არის გარანტირებული სპეციალობის გამოცდისთვის, რომელიც უშუალოდ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა

[4] „ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 18 თებერვლის №19/ნ ბრძანება

გაიაროს სტუდენტობის მსურველმა. აღნიშნული ტიპის მინიმალური მხარდაჭერა, არც უმაღლესი განათლების პროცესშია გარანტირებული სტუდენტებისთვის.

ამავდროულად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ინკლუზიური განათლების პრინციპების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები („საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანება (01/10/2010)), რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს უმაღლესი განათლების მიზნებისა და ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის მოთხოვნებთან. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის, რათა სპეციალური საჭიროების მქონე პირს შეეძლოს შენობაში თავისუფლად ორიენტაცია და გადაადგილება. ამავე სტანდარტებით გათვალისწინებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის წვდომა პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე; ასევე, ჰქონდეთ წვდომა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებით სწავლა-სწავლების, შეფასების სათანადო ფორმებისა და პირობების შეთავაზებას, სასწავლო პროცესის ადაპტირებულ გარემოში განხორციელების შესაძლებლობას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი ადამიანური რესურსით უზრუნველყოფას.

იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უზრუნველყონ ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული პირობები, საჭიროა როგორც დამატებითი სისტემური ცვლილებების განხორციელება, ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მომზადება და გაძლიერება. უნივერსიტეტები ორიენტირებული უნდა იყვნენ ინკლუზიურობის პრინციპების და პრაქტიკის დანერგვაზე და იმ პერსპექტივებისა და ქცევების განვითარებაზე, რომლებიც მოწყვლადი ჯგუფებისთვის განათლების მაქსიმალურ მისაწვდომობას უზრუნველყოფს. აღნიშნული ინკლუზიური, სამართლიანი და არადისკრიმინაციული კულტურა უმთავრესია საუნივერსიტეტო პოლიტიკის განსახორციელებლად, ისევე, როგორც პროფესორ-მასწავლებლების (აკადემიური პერსონალის) მომზადება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების კომპეტენციების გასავითარებლად.

უმაღლესი განათლების მისაწვდომობა

უმაღლესი განათლების სპეციფიკიდან და მასში მოხვედრის წინაპირობებიდან გამომდინარე (სტუდენტები განათლების ამ საფეხურისთვის განსაზღვრულ აუცილებელ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდნენ), საუნივერსიტეტო სწავლება განათლების ექსკლუზიურ საფეხურად მიიჩნევა. ამავდროულად, შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტები/მაგისტრობის კანდიდატები/სტუდენტები, რომელებიც სრულად აკმაყოფილებენ უმაღლეს განათლებაში სწავლის აუცილებელ მოთხოვნებს/წინაპირობებს, ხშირად, განიცდიან უმაღლესი საგანმანათლებლო პროცესიდან გარიყვას, რაც ისეთი გარემო ფაქტორებითაა განპირობებული, როგორიცაა მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლის მეთოდოლოგიის და სასწავლო რესურსების არარსებობა, ნეგატიური დამოკიდებულებები, ინფრასტრუქტურული ბარიერები, აკადემიურ პერსონალში კომპეტენციის სიმწირე შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლების საკითხებში და სხვა სათანადო პირობების არარსებობა.

სტუდენტისთვის სპეციალური პირობების შექმნისა და გაფართოებული მხარდაჭერის გაწევის საჭიროება ზოგ შემთხვევაში, შეიძლება იყოს მეტად თვალსაჩინო (მაგ. ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაში) ან ნაკლებ თვალსაჩინო (მაგ. ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის, დასწავლის უნარის დარღვევის ან ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების არსებობის შემთხვევაში).აქვე გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, ავტომატურად არ განაპირობებს სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის საჭიროებას. ამავდროულად, აღნიშნული სტატუსის არქონა, არ ნიშნავს, რომ სტუდენტს უმაღლესი განათლების მიღებისა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში სრულფასოვანი მონაწილეობისთვის არ დასჭირდება დამატებითი მხარდაჭერა.

საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით და ადგილობრივი პრაქტიკის გათვალისწინებით, ხშირად, სპეციალურ პირობებს და აკომოდაციებს საჭიროებენ სტუდენტობის კანდიდატები/სტუდენტები, რომელთაც აქვთ:

- ფიზიკური/მოტორული უნარის შეზღუდვა (მაგ. გადაადგილების)
- მხედველობის დარღვევა (უსინათლო ან მხედველობის დაქვეითების მქონე/მცირემხედველი პირი)
- სმენის დარღვევა (ყრუ ან სმენადაქვეითებული პირი)
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა
- აუტიზმის სპექტრის აშლილობა
- ქრონიკული ან/და მწვავე სამედიცინო/მდგომარეობა/ჯანმრთელობის პრობლემები
- დასწავლის უნარის დარღვევა/დასწავლის სპეციფიკური სირთულეები (მაგ. დისლექსია, დისპრაქსია, დისკალკულია)

- ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD).

აღნიშნული დიაგნოზები/მდგომარეობები თავისთავად კი არ წარმოადგენენ სპეციალური მხარდაჭერის მიღების საფუძველს, არამედ, ის ფუნქციური გავლენა, რომელსაც ისინი ახდენენ უნივერსიტეტში სტუდენტის აკადემიურ თუ სოციალურ ჩართულობაზე.

ცალკეულ მდგომარეობასთან დაკავშირებული მეტი ინფორმაცია მოცემულია დანართში N1.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის განათლების მისაწვდომობა ნიშნავს, რომ მათ უნდა შეეძლოთ მიიღონ იგივე ინფორმაცია, ჩაერთონ იმავე ინტერაქციაში და ისარგებლონ იგივე მომსახურებით, თანაბრად ეფექტური და თანაბრად ინტეგრირებული გზით, როგორც ეს შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების არმქონე პირებისთვის არის შესაძლებელი. აღნიშნული არ გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისადმი შეღავათიან მიდგომას, არამედ, გამოცდების წარმატებულად ჩასაბარებლად და ცოდნის სრულფასოვნად მისაღებად თანაბარი შესაძლებლობის შექმნას.

შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მისაწვდომობა მოიცავს, თუმცა არ შემოიფარგლება შემდეგით:

☑ სასწავლო პროცესზე მისაწვდომობა;
☑ სასწავლო რესურსებზე მისაწვდომობა (მათ შორის ბიბლიოთეკაში არსებული რესურსებზე);
☑ გამოცდებისა და შეფასების სხვა კომპონენტების მისაწვდომობა;
☑ უნივერსიტეტის შიდა და გარე სივრცეების მისაწვდომობა;
☑ საკომუნიკაციო და საინფორმაციო პლატფორმების მისაწვდომობა (ვებგვერდი, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა);
☑ უნივერსიტეტის საერთო სტუდენტური სერვისების მისაწვდომობა (მაგ. კარიერის დაგეგმვის სერვისი);
☑ სტუდენტური საცხოვრისის მისაწვდომობა;

უნივერსიტეტის სხვადასხვა ღონისძიების, მათ შორის სტუდენტური ცხოვრების, მისაწვდომობა;

უნივერსალური დიზაინი უმაღლეს განათლებაში

განსხვავებული საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის უმაღლესი განათლების მისაწვდომობის გაზრდის შესაძლებლობას ქმნის უნივერსალური დიზაინის პრინციპებზე დაფუძნებული საგანმანათლებლო გარემო.

თანამედროვე ეპოქაში, ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა იქონია ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე. ხელმისაწვდომობა გაიზარდა ინფორმაციაზე, კომუნიკაციაზე, გადაადგილებაზე. მეცნიერები, ინჟინრები, დიზაინერები მუდმივად ცდილობენ შექმნან და განავითარონ ისეთი პროდუქტები, რესურსი, ტექნიკა, რაც ადამიანებს ყოველდღიურ ყოფას გაუმარტივებს, ხელმისაწვდომს, პრაქტიკულს და უსაფრთხოს გახდის გარემოს. იქმნება და ვითარდება ელექტრონული ტექნიკა, რაც ერთი თითის მოძრაობით შესაძლებელს ქმნის ადამიანმა მიიღოს სასურველი ინფორმაცია, მარტივად განახორციელოს საჭირო ოპერაცია, ვიზუალური გამოსახულების გაზრდის (ე.წ. დაზუმვის) საშუალებით მცირედმხედველმა ადამიანმა ამოიკითხოს წვრილი შრიფტით დატანილი ტექსტი. ხმოვანმა წიგნებმა ადამიანებისთვის დაზოგა დრო, მისცა სხვადასხვა გარემოებაში მოსმენის, ინფორმაციის მიღების საუკეთესო შესაძლებლობა, უსინათლო ადამიანებისთვის შექმნა განათლების მიღების უნიკალური შესაძლებლობა. ეკრანზე გასული სუბტიტრები სმენის პრობლემის მქონე პირებს (ყრუ ადამიანებს) ინფორმაციის მიღების შესაძლებლობას უქმნის.
ამრიგად, ტექნოლოგია, რომელიც თანამედროვე სამყაროში იქმნება, მაქსიმალურად ეფუძნება უნივერსალურ პრინციპებს იმისთვის, რომ განსხვავებული შესაძლებლობის მქონე ადამიანებისთვის გაამარტივოს ყოველდღიური ცხოვრება და უფრო ეფექტიანი გახადოს, დააზოგვინოს დრო და ენერგია, ხელი შეუწყოს პიროვნების განვითარებას და გააჩინოს განათლების მიღების მოქნილი შესაძლებლობები.
ამრიგად, უნივერსალური დიზაინის პრინციპი ნებისმიერ ადამიანს, მიუხედავად შესაძლებლობისა, უზრდის განათლებაზე, პროდუქტებზე, სერვისებზე და გარემოზე მისაწვდომობას. განათლების სისტემა, მათ შორის უმაღლესი, საკუთარი სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის ღირსეული საგანმანათლებლო თუ უნივერსალური სამუშაო გარემოს შესაქმნელად მიკრო და მაკრო დონეზე, გადის ისეთ პროცესებს, როგორიც არის საჭიროებების იდენტიფიცირება, საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსალურობის განსაზღვრა, მომხმარებლების ანუ იმ პირების მონაწილეობა, ვისთვისაც იცვლება გარემო, იქმნება სერვისები, რესურსები, პროგრამები, სტანდარტები, ხდება პროგრამების და გზამკვლევების ადაპტირება, იგეგმება აკომოდაცია, თანამშრომლების გადამზადება, პროფესიული განვითარება ხარისხიანი მომსახურების მიწოდების მიზნით და რაც ასევე მნიშვნელოვანია, მუდმივად ხორციელდება ცვლილებების შეფასება და ეფექტიანობის დადგენა.

უნივერსალური დიზაინი, რომლის კონცეფციაც ეფუძნება ადამიანებისთვის სერვისების, პროდუქტების, გარემოზე მარტივად ხელმისაწვდომობის იდეას, სრულ თანხვედრაშია მდგრადი განვითარების მიზნებთან. უნივერსალური დიზაინი შვიდ ძირითად პრინციპზე დგას, რომლის მიზანია, ორგანიზაციამ დაგეგმვის, პროდუქტის, მომსახურების შექმნის, გარემოს შეცვლის პროცესში, გაითვალისწინოს ყველა ადამიანის საჭიროება, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების.

უნივერსალური დიზაინის შვიდი პრინციპი, 1997 წელს ჩრდილოეთ კაროლინის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინჟინრების, დიზაინერების, კომუნიკაციის სპეციალისტების, მკვლევრების მიერ შეიქმნა და ეფუძნება 7 პრინციპს:

1. **თანასწორობა** - სამართლიანი გამოყენების, ყველასათვის ხელმისაწვდომობის პრინციპი, რომლის კარგი მაგალითია პანდუსი, რომელიც არა მხოლოდ გადაადგილების პრობლემის მქონე ადამიანისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ, მას ბავშვის ეტლის სატარებლად, ტვირთის გადასაადგილებლად, ყველა ადამიანი თანაბრად იყენებს.
2. **მოქნილობა** - პროდუქტის/მომსახურების დაგეგმვის/შექმნის პროცესში წინასწარ განსაზღვრული სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანების სურვილების, შესაძლებლობების, ხელმისაწვდომობის გათვალისწინება (მაგ., ერთი პროდუქტის სხვადასხვა მეთოდით გამოყენება, ცაცია და მემარჯვენე ადამიანი იყენებს ერთი და იგივე პროდუქტს ხელის განსხვავებული მოძრაობით).
3. **სიმარტივე და ინტუიციურობა** - დაგეგმვის პროცესში, წინასწარ განსაზღვრული მარტივი ოპერაციები და ინსტრუქციები ტექნიკის გამოყენების მიზნით.
4. **ინფორმაციის აღქმადობა** - ინფორმაციის მისაღებად და აღსაქმელად აუდიო, ვიზუალური და კინესთეტიკური მრავალფეროვანი მასალის გამოყენება.
5. **ტოლერანტობა და შეცდომისგან თავის არიდება** - საფრთხეებისგან თავის არიდების მიზნით შესაბამისი პროდუქტის შექმნა. მაგ., ბავშვის სპეციალური მანქანის სავარძელი, რომელიც ბავშვის მანქანაში ზედმეტი მოძრაობის და უბედური შემთხვევისგან იცავს, ასევე ხმოვანი შუქნიშანი რომელიც უსინათლო ადამიანს ატყობინებს, თუ როდის არის დაშვებული ქუჩაზე უსაფრთხოდ გადასვლა და იცავს უბედური შემთხვევებისგან.
6. **დაბალი ფიზიკური ძალისხმევა** - ნაკლები ფიზიკური ძალისხმევით გადაადგილების შესაძლებლობა (სენსორული კარები, ლიფტი, ადაპტირებული ტრანსპორტი და სხვა).
7. **ზომა და სივრცე ხელმისაწვდომობისთვის** - საკმარისი სივრცე, რომელმაც ადამიანებს უნდა მისცეს მარტივად გადაადგილების, სერვისის მისაღების შესაძლებლობა.

უნივერსალური დიზაინის მიხედვით საუნივერსიტეტო გარემოს მოწყობის პროცესი შემდეგ ეტაპებს მოიცავს:



1. იდენტიფიცირება - მომსახურების, პროდუქტის, რესურსების ან გარემოს განსაზღვრა, რომელთან მიმართებითაც მოხდება უნივერსალური დიზაინის გამოყენება სასწავლო/სამუშაო პროცესში; საუკეთესო პრაქტიკის იდენტიფიცირება (მაგ., მტკიცებულებებზე დაფუძნებული სწავლების პრაქტიკა, ტექნოლოგიური სტანდარტები, არქიტექტურული დიზაინის სპეციფიკაციები და სხვა).

2. უნივერსალურობის განსაზღვრა - პოტენციური მომხმარებლების მრავალფეროვანი მახასიათებლების განსაზღვრა - მომხმარებლის სქესი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა, მშობლიური ენა, სწავლის სტილი, მოსმენის, ობიექტების მანიპულირების, წაკითხვის, კომუნიკაციის და სხვა გამოწვევები, რომლებსაც მომხმარებლები შეიძლება წააწყდნენ პროდუქტთან ან გარემოსთან ურთიერთობისას;

3. მომხმარებლის ჩართულობა - მომსახურების სამიზნე ჯგუფების მუდმივი ჩართულობა დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების პროცესში, რაც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეფექტური მხარდამჭერი მომსახურების დაფუძნებას და განვითარებას შეუწყობს ხელს.

4. სტანდარტების და გზამკვლევების შემუშავება - საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი სტანდარტების, გზამკვლევების შექმნა.

5. სტანდარტების და გზამკვლევების გამოყენება - უნივერსალური დიზაინის საუკეთესო პრაქტიკის უმაღლესი განათლების პრაქტიკაში ინტეგრირება, რათა მაქსიმალურად გაზარდოს გამოყენების სარგებელი სხვადასხვა მახასიათებლების მქონე პირებისთვის.

6. აკომოდაციის დაგეგმვა -პროცესების შემუშავება იმ პირებისთვის, რომლებისთვისაც უნივერსალური დიზაინი ავტომატურად არ ზრდის მისაწვდომობას (მაგ. ინდივიდუალური დამხმარე ტექნოლოგიებით ან ჟესტური ენის თარჯიმნით უზრუნველყოფა). აღნიშნული აკომოდაციების შესახებ პოტენციური მომხმარებლების ინფორმირება სილაბუსების, ბუკლეტების ან ვებსაიტის მეშვეობით.

7. გადამზადება და მხარდაჭერა - ტრენინგის თემატიკის განსაზღვრა და თანამშრომელთა გადამზადება, მათ შორის ხმოვანი, ელექტრონული და სხვა საჭირო ტექნოლოგიის გამოყენების კუთხით, პროფესიული უნარების პრაქტიკაში გამოყენების და განხორციელების ხელშეწყობა.

8. შეფასება - შესაბამისი პროდუქტის ან გარემოს დანერგვის შემდეგ, ხარისხის მონიტორინგი და უკუკავშირის შეგროვება სხვადასხვა მახასიათებლების მქონე პირებისგან/მომხმარებლებისგან კითხვარების, ონლაინ გამოკითხვის, ფოკუსჯგუფების საშუალებით. უნივერსიტეტში არსებული ტექნიკისა და ტექნოლოგიების მუშაობის ხარისხის, გამოყენებული მეთოდოლოგიის, აკომოდაციის შეფასება, არსებული სტანდარტების, გზამკვლევების ანალიზი. მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, ხარისხის გაუმჯობესების და უნივერსალურობის გაზრდის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ინსტრუქციების/სწავლების, სერვისების, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

ამრიგად, უნივერსალური დიზაინი წარმოადგენს ''პროდუქტის დიზაინის შექმნის პროცესს" რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან, დაგეგმვის ეტაპზე, სწავლობს და ითვალისწინებს საკუთარი სტუდენტების, პროფესორ-მასწავლებლის, თანამშრომლების საჭიროებებს იმისთვის, რომ შექმნას ყველასათვის თანაბრად გამოყენებადი, ხელმისაწვდომი და შედეგზე ორიენტირებული გარემო (Vanderheiden & Tabias, n.d., p.1).

უნივერსალური დიზაინი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში



ინსტრუქცია - საგანმანათლებლო კლიმატი - ინტერაქცია - მეთოდოლოგია - რესურსები - შეფასება/უკუკავშირი - აკომოდაცია	**სერვისები** - პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება - ფიზიკური გარემოსთვის საჭირო პროდუქტები - თანამშრომელთა კვალიფიკაცია - ტექნიკა, რესურსები და საინფორმაციო ტექნოლოგია - ღონისძიებები
ინფორმაციული ტექნოლოგიები - შესყიდვების პროცედურები	**ფიზიკური გარემო** - პოლიტიკის დაგეგმვა და შეფასება

- ფიზიკური გარემოსთვის საჭირო აღჭურვილობა - ინფორმაციის ხელმისაწვდომობა - განხორციელებული ღონისძიებების და შედეგების მონიტორინგი - მანიპულაციები - უსაფრთხოება - დამხმარე ტექნოლოგიების თავსებადობა	- ვიზუალიზაცია - შენობაზე ხელმისაწვდომობა და გადაადგილება - ავეჯი - საინფორმაციო რესურსები და ტექნოლოგია - უსაფრთხოება - აკომოდაცია

მაგალითი, თუ როგორ ხდება უნივერსალური დიზაინის პრინციპების ინტეგრირება უნივერსალური დიზაინის ოთხი მიმართულებიდან ერთ-ერთში - **სწავლებაში**

UD პრინციპები	**როგორ აისახება UD პრინციპები UD ინსტრუქციებში**
1. თანასწორობა	ვებ გვერდზე არსებული ინფორმაცია და რესურსები ხელმისაწვდომია ყველასთვის, მათ შორის უსინათლო სტუდენტებისთვის
2. მოქნილობა	სტუდენტს აქვს არჩევანის საშუალება ტექსტი მოისმინოს ან წაიკითხოს ბრტყელი ან ბრაილის შრიფტით, ან ხმოვანი პროგრამა გამოიყენოს. გამოცდა ჩააბაროს ჯგუფთან ერთად ან მარტო ცალკე აუდიტორიაში. სწავლის მეთოდის შერჩევა
3. სიმარტივე და ინტუიციურობა	ტექნიკის გამოსაყენებლად არსებობს მარტივი ინსტრუქცია, გამარტივებული ოპერაციით შესაძლებელია მიზნის მიღწევა ლიტერატურის გამარტივება სტუდენტისთვის უკუკავშირის მიცემა
4. ინფორმაციის აღქმადობა	ინფორმაციის აღსაქმელად ნებისმიერი მეთოდის გამოყენება, ინფორმაციის დანაწევრება და ნაწილ-ნაწილ გაზიარება, ვიზუალიზაცია, თვალსაჩინო რესურსები, კეთებით სწავლება
5. ტოლერანტობა და შეცდომისგან თავის არიდება	მაქსიმალური მხარდაჭერა, საფრთხეებისგან თავის არიდება
6. დაბალი ფიზიკური ძალისხმევა	ტექნოლოგიების და ტექნიკის გამოყენებით ფიზიკური ძალისხმევის მაქსიმალურად

	შემცირება (პანდუსის, ლიფტის გამოყენებით დამოუკიდებლად, ზედმეტი ფიზიკური ძალისხმევის გარეშე გადაადგილება).
7. ზომა და სივრცე მისაწვდომობისათვის	სივრცეების მიზნობრივად გამოყენება, აუდიტორიებში, ლაბორატორიებში, სასადილოში და სხვა სივრცეებში გამოყენებული ავეჯის და აღჭურვილობის მარტივად გადაადგილების შესაძლებლობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისაწვდომობის მომსახურება/მისაწვდომობის ცენტრი

სტუდენტებისთვის მისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, უკვე რამდენიმე ათწლეულია, რაც განვითარებული ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დანერგილია და მუდმივად ვითარდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების მხარდამჭერი მომსახურება.

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა/მისაწვდომობის მომსახურება უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს ოფისების ან სხვადასხვა ტიპის ერთეულების სახით, ან შეიძლება იყოს საერთო სტუდენტური მხარდაჭერის სერვისის შემადგენელი ნაწილი. სხვადასხვა ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების მხარდაჭერის მომსახურებები განსხვავებული დასახელებით ოპერირებს, როგორიცაა: სტუდენტთა მისაწვდომობის სერვისების ოფისი, საკონსულტაციო სამსახური, დამხმარე სერვისი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სერვისი, მისაწვდომობის სერვისი, მისაწვდომობის ოფისი/განყოფილება მისაწვდომობის ცენტრი, სხვა.

მისაწვდომობის სერვისში/ცენტრში დასაქმებული ადამიანების რაოდენობა დამოკიდებულია, როგორც კონკრეტული ქვეყნის, ასევე, ცალკეული უნივერსიტეტის განათლების პოლიტიკაზე, რესურსებზე და ქვეყანაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის არსებულ მომსახურებებზე. მაგალითად, ცენტრში შესაძლოა სხვადასხვა მიმართულების სპეციალისტები იყვნენ დასაქმებული, რომლებიც კონკრეტული საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავენ სტუდენტისთვის საჭირო მხარდაჭერას. ან, შესაძლოა უნივერსიტეტში მხოლოდ კოორდინატორი ან მრჩეველი იყოს დასაქმებული და სტუდენტისთვის საჭირო სერვისების უზრუნველყოფის კოორდინაციას ახდენდეს გარე რესურსების, ე.წ. „აუთსორსინგის“ საშუალებით.

მისაწვდომობის სერვისი/ცენტრი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის საუნივერსიტეტო ცხოვრებაში. მისი ფუნქციაა უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინებით, მოახდინოს სტუდენტის საჭიროებების იდენტიფიცირება და აღნიშნული საჭიროებების დაკმაყოფილების ადვოკატირება, დაეხმაროს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას და აკადემიურ პერსონალს საჭირო ღონისძიებების გახორციელებაში, ინკლუზიური კლიმატის ფორმირებაში, უნივერსიტეტის საზოგადოების წევრების სენსიბილიზაციასა და ინფორმირებულობაში, ხელი შეუწყოს სტუდენტებს აკადემიურ და სოციალურ ინტეგრაციაში სხვადასხვა სახის აკომოდაციების უზრუნველყოფით.

მხარდამჭერი მომსახურება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის გარემოს, (მათ შორის ვირტუალურის), საუნივერსიტეტო პროცესების, ინფორმაციის, მოწყობილობების კომუნიკაციის და სხვ. მისაწვდომობას უნივერსალური დიზაინის პრინციპებისა და გონივრული მისადაგების გათვალისწინებით. ამრიგად, სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის მომსახურება პასუხისმგებელია უნივერსიტეტში ინკლუზიური და თანაბრადმისაწვდომი სწავლებისა და სასწავლო გარემოს შექმნაზე.

მისაწვდომობის ცენტრი მჭიდროდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სამსახურთან სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მხარდაჭერის მიზნით, რათა შიდა საკომუნიკაციო პლატფორმა და საგანმანათლებლო რესურსი ყველასთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს და ყველა პროფესორ-მასწავლებელი და სტუდენტი ფლობდეს შესაბამისი პლატფორმების გამოყენებისთვის საჭირო უნარებს.

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის სერვისი თანამშრომლობს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტთან და უნივერსიტეტის საზოგადოებასთან (ადმინისტრაცია, აკადემიური პერსონალი, საჭიროების შემთხვევაში სტუდენტები). შესაბამისად, მისაწვდომობის ცენტრი წარმოადგენს რესურს ადმინისტრაციისა და ფაკულტეტებისთვის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების პროცესში.

მხარდამჭერი სერვისი ეხმარება სტუდენტებს მათი სრული საუნივერსიტეტო განათლების პერიოდში, სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურების მიღებაზე განაცხადის შეტანიდან სათანადო მხარდაჭერის გაწევამდე და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულის, ხანგრძლივი და/ან მწვავე ჯანმრთელობის მდგომარეობის, აუტისტური სპექტრის ან სპეციფიკური დასწავლის სირთულეების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამის საგანმანათლებლო პირობებს გონივრული მისადაგების პრინციპის გათვალისწინებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება მისაწვდომობის ცენტრისთვის, უნივერსიტეტში არსებულ მხარდამჭერ მომსახურებებთან დაკავშირებით სტუდენტების სრულფასოვანი

ინფორმირება და დროული მიმართვის წახალისებაა. სტუდენტთა ინფორმირებისთვის მისაწვდომობის ცენტრი ზრუნავს, სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლებმა შეიტანონ სილაბუსში ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს უფლება აქვთ კურსის ფარგლებში ისარგებლონ საჭირო აკომოდაციებით.

კურსის სილაბუსში შეტანილი განცხადების ნიმუში:

ნებისმიერ სტუდენტი, რომელიც საჭიროებს აკადემიურ აკომოდაციას დადასტურებული ან დაუდასტურებელი შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო, უნდა დაუკავშირდეს მისაწვდომობის სერვისს. მისაწვდომობის სერვისი სტუდენტთან თანამშრომლობით უზრუნველყოფს იმ აკომოდაციების განსაზღვრას, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ამ კურსის ფარგლებში.

ხელმისაწვდომობის სერვისების საკონტაქტო ინფორმაცია (ელ. ფოსტა, მობ. ტელ.)

ამასთანავე, ინფორმაცია მისაწვდომობის ცენტრის შესახებ და მხარდამჭერ მომსახურებაზე მიმართვის ინსტრუქტაჟი უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.-უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს შემდეგ აუცილებელ საკითხებს:

- → ინფორმაცია მისაწვდომობის ცენტრზე - მიზნები, მისია
- → რა ტიპის ხელშეწყობებს სთავაზობს ცენტრი/მომსახურება
- → ვისთვის არის აღნიშნული მომსახურება გათვალისწინებული
- → რა დოკუმენტაციაა წარმოსადგენი აკომოდაციების/სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის მისაღებად
- → როგორია ცენტრისთვის მიმართვის პროცედურა - რა საფეხურებს გადის სტუდენტი და რა ვადებში
- → განაცხადის ელექტრონული ფორმა
- → მისაწვდომობის მომსახურების საკონტაქტო ინფორმაცია

სტუდენტებმა თავად უნდა მიმართონ მისაწვდომობის მომსახურებას/ცენტრს სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერასთან/აკომოდაციებთან დაკავშირებით. მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის მიერ მაქსიმალურად წახალისებულია სტუდენტების მიერ აკომოდაციის დროული მოთხოვნა სასწავლო სემესტრის დაწყებამდე, რათა უზრუნველყოს ყველა მოთხოვნის განხილვა და შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილება სწავლის დაწყების პერიოდისთვის (მაგ. სათანადო დამხმარე მოწყობილობის მოძიება/შეძენა, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია, დამხმარე სპეციალისტის ან პერსონალური ასისტენტის შერჩევა/დაქირავება, ტრანსპორტირების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული

პროცედურები, ძირითადი საკითხავი მასალის აუდიო ვერსიების და სხვ.). თუმცა, აკომოდაციის თაობაზე სტუდენტის განაცხადი კეთდება, მიიღება და განიხილება ნებისმიერ დროს, სწავლის პერიოდშიც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, უნივერსიტეტს განსაზღვრული ჰქონდეს სტუდენტის განაცხადის განხილვის და ყველა საჭირო პროცედურის გავლის გონივრული ვადები, რათა სტუდენტმა დროულად მიიღოს უნივერსიტეტის აკადემიურ პროცესში სრულფასოვნად ჩართვის შესაძლებლობა.

ახლად ჩარიცხულ სტუდენტებთან მიმართებით, აუცილებელია, უნივერსიტეტს ჰქონდეს სტუდენტის ტრანზიციის ხელშეწყობის გაწერილი პროცედურა, რაც მიმღებ გარემოს (თავად უნივერსიტეტი) მოსამზადებელ ღონისძიებებთან ერთად, ახალი გარემოსთვის თავად სტუდენტის მომზადებასაც უნდა მოიცავდეს (მაგ. უსინათლო სტუდენტის უნივერსიტეტში მობილობისა და ორიენტაციის ხელშეწყობა, აუტიზმის მქონე სტუდენტის ახალ გარემოსთან ეტაპობრივი შეგუების პროცესის უზრუნველყოფა, უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს გაცნობა, მომავალ პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა, მომავალ სტუდენტებთან შეხვედრა და ა.შ.). ტრანზიციის ხელშეწყობა მნიშვნელოვანია სტუდენტის მობილობის შემთხვევაშიც, იქნება ეს შიდა თუ სხვა უნივერსიტეტიდან მობილობა.

ტრანზიციის ხელშეწყობის ფარგლებში, მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის წარმომადგენელი შესაძლოა ვირტუალურადაც შეხვდეს სტუდენტს და მიმღები უნივერსიტეტის შესახებ მას საჭირო ინფორმაცია მიაწოდოს.

მომსახურებები, რომელთაც მისაწვდომობის ცენტრი უზრუნველყოფს:

მისაწვდომობის ცენტრის მუშაობა ორ ძირითად მიმართულებას მოიცავს: 1) კონკრეტული სტუდენტებისთვის საჭირო მხარდაჭერის განსაზღვრა-უზრუნველყოფა და 2) უნივერსიტეტში ინკლუზიური კულტურის და პრაქტიკის განვითარება-გაუმჯობესება.

1) სტუდენტებისთვის გაწეული მომსახურება:

- ☑ მხარდაჭერა უნივერსიტეტში ტრანზიციის პროცესში;
- ☑ სტუდენტების ინფორმირება და კონსულტირება აკომოდაციების/სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ;
- ☑ სტუდენტების განაცხადების განხილვა-დამუშავება და სტუდენტთან ერთად საჭირო მხარდაჭერის განსაზღვრა (საჭირო აკომოდაციების განსაზღვრა);
- ☑ სტუდენტთან ინტერაქციით მისი მხარდაჭერის გეგმის შემუშავება;
- ☑ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტის საჭიროებების წარდგენა/ადვოკატირება;
- ☑ ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები მხარდაჭერის საჭიროების მქონე სტუდენტებთან;
- ☑ ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება სტუდენტთან ერთად;

- ☑ სტუდენტის დაკვალიანება და ხელშეწყობა დაფინანსების განაცხადის შევსებაში და ადმინისტრაციის წინაშე სტუდენტისთვის საჭირო დაფინანსების ადვოკატირება;
- ☑ აკომოდაციების უზრუნველყოფისთვის თვალის მიდევნება;
- ☑ სტუდენტისთვის საჭირო მხარდაჭერის (მატერიალური, ადამიანური რესურსი) მოპოვებაზე ზრუნვა (მაგ. საჭირო სპეციალისტების, დამხმარე საშუალებების, სერვისების მოძიება და სხვ.);
- ☑ კონკრეტული სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად, მისაწვდომობის გაზრდისთვის საჭირო აქტივობების დაგეგმვა-განხორციელების კოორდინაცია;
- ☑ სტუდენტის დროული დაკავშირება საჭირო შიდა თუ გარე სერვისთან;
- ☑ პროფესორ-მასწავლებლების/აკადემიური პერსონალის და დაწესებულების სხვა წარმომადგენლების კონსულტირება/ინფორმირება კონკრეტულ სტუდენტთან ურთიერთობის და მისთვის შესაბამისი აკომოდაციების უზრუნველყოფის საკითხებზე, სტუდენტის ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე და კონფიდენციალობის საკითხების გათვალისწინებით;
- ☑ შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების გამოწვევების და ინდივიდუალური საჭიროებების დროული და ობიექტური შეფასების პროცედურების განვითარებაზე ზრუნვა;

2) ინკლუზიური გარემოს უზრუნველსაყოფად გაწეული მომსახურება:

- ☑ კვალიფიციური კონსულტაციის გაწევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციისთვის დაწესებულებაში ინკლუზიასთან/მისაწვდომობასთან დაკავშირებული გამოწვევების და თანამედროვე გადაჭრის გზების შესახებ;
- ☑ სპეციალური საგანმანათლებლო მხარდამჭერი მომსახურებების პროცედურების განვითარებაზე ზრუნვა;
- ☑ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მოზიდვაზე ზრუნვა შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებით (მათ შორის უნივერსიტეტის მისაწვდომობის მომსახურების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდით);
- ☑ ინფორმაციის მომზადება და უნივერსიტეტის საზოგადოებაში გავრცელება სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის მომსახურებაზე. სემინარების/სამუშაო შეხვედრების, ტრენინგების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან მისაწვდომობის საკითხებზე;
- ☑ აკომოდაციებთან/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებებთან დაკავშირებული პროტოკოლების/რესურსების განვითარებაზე ზრუნვა, რომელსაც დაწესებულების ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი პრაქტიკაში გამოიყენებს;
- ☑ კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრუქტურის და პროცედურების შესაბამისი გეგმის შემუშავება, რათა მოხდეს შეზღუდული შესაძლებლობის

და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების დროული იდენტიფიცირება;

- ☑ შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტობის კანდიდატების/სტუდენტების ტრანზიციის ხელშეწყობის პროცესების (ჩარიცხვა/მობილობა/სტუდენტის სტატუსის აღდგენა) მაქსიმალურად ეფექტიანად მართვის სტრატეგიის შემუშავება;
- ☑ ხარისხიანი განათლების მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, დამაკავშირებლის და ინფორმაციის გამტარის როლის შესრულება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალს, სხვადასხვა დეპარტამენტს-სამსახურს და სტუდენტს შორის;
- ☑ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის სფეროს სპეციალისტების და/ან ორგანიზაციების მოძიება და მათთან თანამშრომლობის დამყარება უნივერსიტეტში მისაწვდომობის სერვისების გასაუმჯობესებლად;
- ☑ სხვადასხვა ტიპის დამხმარე საშუალებების განსაზღვრა, რომელიც უნივერსიტეტმა შეიძლება შეიძინოს და გრძელვადიანად გამოიყენოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების პროცესის ხელშესაწყობად და აღნიშნული მოწყობილობების შეძენის ლობირება;
- ☑ უნივერსიტეტის ფიზიკური გარემოს/ინფრასტრუქტურის ანალიზი მისაწვდომობის კუთხით (საჭიროების შემთხვევაში მოიწვიოს ამ მიმართულებით სპეციალისტები), განსახორციელებელი სამუშაოების განსაზღვრა უნივერსალური დიზაინისა და გონივრული მისადაგების პრინციპების გათვალისწინებით, და ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაზრდის შესაბამისი ღონისძიებების გატარების ლობირება;
- ☑ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციების, დებულებების და დადგენილებების ანალიზი სტუდენტების მხარდამჭერ მომსახურებასთან მიმართებით, და საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების ინიცირება/ ცვლილებების განხორციელების ლობირება;
- ☑ სასწავლო მასალების მისაწვდომი ფორმატით (საკითხავი მასალები აუდიო/ელექტრონული/ბრაილის შრიფტით/გადიდებული შრიფტით; სასწავლო ვიდეოები ჟესტურენოვანი თარგმანით/აუდიოაღწერით და სხვა) მომზადებაზე ზრუნვა;
- ☑ უნივერსიტეტის ვებგვერდის, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემის მისაწვდომობის გაზრდაზე ზრუნვა, ცვლილებების ადვოკატირება;
- ☑ რეკომენდაციების შემუშავება აკადემიური პროცესების მიღმა სტუდენტურ აქტივობებში და საერთო სტუდენტურ მომსახურებებში შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფის შესახებ (სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფები, კარიერული სერვისი სტუდენტებისთვის, სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოები და სხვა);

- ☑ რეკომენდაციების შემუშავება სტუდენტური საცხოვრებლის ფიზიკური გარემოს მისაწვდომობის გაზრდის და სტუდენტთა სხვა საჭიროებების უზრუნველყოფის შესახებ (ფსიქო-ემოციური და სოციალური);
- ☑ შიდა და გარე რეფერირების პროცედურების სტრუქტურის და დოკუმენტაციის შემუშავება-გაუმჯობესებაზე ზრუნვა;
- ☑ უნივერსიტეტში არსებული მეთოდოლოგიის გადახედვა და ჰარმონიზება სახელმწიფო კანონმდებლობასთან და სხვა რეგულაციებთან მიმართებით. ასევე საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება და განახლებული მეთოდოლოგიების დანერგვა;
- ☑ აკომოდაციების/სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის უზრუნველყოფის მონიტორინგის სისტემის შემუშავება და მონიტორინგის უზრუნველყოფა.

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის უზრუნველყოფის პირობები

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა შეიძლება უზრუნველყოს ა) სტუდენტობის კანდიდატისთვის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული გასაუბრების/გამოცდისთვის და/ან ბ) სტუდენტების სწავლის პერიოდში უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის სტუდენტების შემთხვევაში.

იმისათვის, რომ უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შესაბამისი მხარდაჭერა გაუწიოს სტუდენტობის კანდიდატს/სტუდენტს, პირველ რიგში უნდა განსაზღვროს მხარდაჭერის საჭიროება, რისთვისაც:

- ✓ სტუდენტი ავსებს მისი საჭიროების იდენტიფიცირების მიზნით შექმნილ სპეციალური განაცხადის ფორმას (ე.წ. თვითშეფასების კითხვარს), რომლის ანალიზის საფუძველზე უნივერსიტეტი შეძლებს გაანალიზოს სტუდენტისთვის საჭირო აკომოდაციები, მომსახურებები, გარემო ადაპტაციები, მხარდაჭერისთვის საჭირო ბიუჯეტი და სხვა (დანართი N2);
- ✓ წარუდგენს უნივერსიტეტს შეზღუდული შესაძლებლობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, სამედიცინო ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეების სირთულეების არსებობის და პირის ფუნქციონირებაზე მათი გავლენის მტკიცებულებებს, შესაბამისი დოკუმენტაციის სახით (დანართი N3);
- ✓ საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტის თანხმობით უნივერსიტეტი გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას შესაბამისი სფეროს სპეციალისტისგან (მაგ. ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი) სტუდენტის მდგომარეობის შესახებ (დანართი N4);
- ✓ მისაწვდომობის სერვისის წარმომადგენელი გაანალიზებს წარმოდგენილ მონაცემებს და სტუდენტთან განახორციელებს გასაუბრებას.

სტუდენტების კონფიდენციალობის დაცვა

სტუდენტის მიერ გაკეთებული განაცხადი და მის მდგომარეობასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია/ინფორმაცია, წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას და აღნიშნული ინფორმაციის გაზიარება იმ პირებთან, ვისაც უშუალო როლი/პასუხისმგებლობა აქვს სტუდენტის აკომოდაციების/მხარდაჭერის უზრუნველყოფაში, მხოლოდ თავად სტუდენტის თანხმობით ხდება, რაც სტუდენტის ინფორმირებული თანხმობით/ხელმოწერით დასტურდება (დანართი N5).

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი თავის საჭიროებების შესახებ გაუმხელს პროფესორ-მასწავლებელს ან უნივერსიტეტის სხვა პერსონალს/წარმომადგენელს, ან პროფესორ-მასწავლებელი ან უნივერსიტეტის სხვა თანამშრომელს თავად უჩნდება ეჭვი სტუდენტის სწავლის სირთულეების შესახებ, ყველა პირმა აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეინახოს კონფიდენციალურად და წაახალისოს სტუდენტი მიმართოს მისაწვდომობის მომსახურებას/ცენტრს.

მისაწვდომობის უზრუნველყოფა უნივერსიტეტში მისაღები გამოცდის/გასაუბრების დროს

იმისათვის, რომ აბიტურიენტმა/მაგისტრობის ან დოქტორანტურის კანდიდატმა მისთვის საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ შესარჩევ გამოცდაზე/გასაუბრებაზე, ის შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) წარმატებით ჰქონდეს გავლილი ერთიანი ეროვნული ან საერთო სამაგისტრო გამოცდა;

ბ) გაკეთებული ჰქონდეს შესაბამისი განაცხადი კონკრეტულ უნივერსიტეტში სწავლის თაობაზე;

გ) შესაბამისი განაცხადით (შესაბამისი ფორმის შევსებით) მოთხოვნილი უნდა ჰქონდეს სპეციალური პირობები/აკომოდაციები გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის;

დ) წარდგენილი ჰქონდეს უნივერსიტეტისთვის ყველა მოთხოვნილი დოკუმენტაცია;

ე) თავისი საჭიროებებით, აკმაყოფილებდეს სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის/მხარდაჭერის მიღების კრიტერიუმებს.

სტუდენტობის კანდიდატს უნდა ჰქონდეს მისთვის საჭირო აკომოდაციების შესახებ უნივერსიტეტის ინფორმირების შესაძლებლობა უნივერსიტეტის გასაუბრებამდე/გამოცდამდე გონივრულ ვადებში. მაგისტრატურის სტუდენტობის კანდიდატების შემთხვევაში, თავად სტუდენტობის კანდიდატის ინფორმირებული თანხმობით, უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს წვდომა საერთო სამაგისტრო გამოცდის დროს

სტუდენტისთვის უზრუნველყოფილი სპეციალური პირობების და აღნიშნული პირობების მისაღებად სტუდენტის მიერ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრისთვის წარდგენილ დოკუმენტაციაზე. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში შიდა გასაუბრების/გამოცდის დროს სტუდენტობის კანდიდატს შესაძლოა დასჭირდეს იმისგან განსხვავებული აკომოდაციები, ვიდრე, საერთო სამაგისტრო გამოცდების დროს სჭირდებოდა ან საერთო სამაგისტრო გამოცდების სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა აბიტურიენტს საერთოდ არ სჭირდებოდა რაიმე ტიპის აკომოდაცია (მაგ. სტუდენტი ზეპირი გასაუბრების დროს საჭიროებს გარკვეულ სპეციალურ პირობებს, რის საჭიროებაც არ ედგა საერთო სამაგისტრო გამოცდების დროს). ამასთანავე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას მეტი მოქნილობა აქვს უფრო მრავალეროვანი აკომოდაციების უზრუნველსაყოფად (მაგ. გამოცდის პერიოდის შერჩევა და ა.შ.) ვიდრე, შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს საერთო სამაგისტრო გამოცდებისას.

უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული ნებისმიერი აკომოდაცია უნდა იყოს გონივრული მისადაგების ფარგლებში, არ უნდა ცვლიდეს გასაუბრების/გამოცდის შინაარსს და სირთულეს (არ იწვევდეს გამარტივებას) და უნდა იძლეოდეს იმ ძირითადი კონსტრუქტი[5] შეფასების შესაძლებლობას, რომელთა შეფასების მიზნითაც ტარდება გასაუბრება თუ გამოცდა.

შეფასების კონტექსტში „მისაწვდომობა“ ნიშნავს გამოსაცდელს შეუძლია სათანადო ინტერაქცია ჰქონდეს ტესტის/დავალების/გასაუბრების შინაარსთან, შინაარსის პრეზენტაციასთან და პასუხთან გონივრული მისადაგების ფარგლებში რამდენადაც შესაძლებელია (ანუ ცვლილება შეესაბამება კონსტრუქტს, რომლის გაზომვაც ხდება შეფასებისას). შინაარსმა და შეფასების ფორმატმა უნდა მისცეს გამოსაცდელს, რომელსაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება მოახდინოს თავისი ცოდნის, უნარების დემონსტრირება.

სტუდენტობის კანდიდატს 9გამისაცდელს) მისი ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე გასაუბრების/გამოცდისას უნდა შეეძლოს ერთი ან ერთზე მეტი აკომოდაციის მიღების შესაძლებლობა, როგორიცაა:

ინფორმაციის პრეზენტაციის რეჟიმის მორგება:

ბრაილი, აუდიო (ჩაწერილი, ცოცხალი წამკითხველისთვის მომზადებული, ან კომპიუტერით გახმოვანებული), დიდი შრიფტი, გამადიდებელი მოწყობილობა, ტაქტილური ან გადიდებული ფიგურები, ნაბეჭდი ტესტი (თუ ტესტი ჩვეულებრივ კომპიუტერზეა დაფუძნებული), სმენითი (აუდიო) კომპონენტის წერილობითი ვერსია (ტრანსკრიპცია), ზეპირი ინტერპრეტატორი სმენითი კომპონენტისთვის.

[5] ტერმინი „კონსტრუქტი“ გამოიყენება ყველა იმ ცოდნის, უნარების, შესაძლებლობების და სხვათა აღსანიშნავად, რომლის გასაზომადაც არის გამიზნული კონკრეტული ტესტი/დავალება.

რეაგირების (პასუხების გაცემის) რეჟიმის მორგება:

კომპიუტერი ეკრანის წამკითხველით - წერილობითი პასუხები, ხმის ამომცნობი - წერილობითი პასუხები, ჩანაწერების მწარმოებელი, დამხმარე ჩამწერი აღჭურვილობის გამოყენებაში, დიდად ნაბეჭდი პასუხების ფურცლები, ტექსტიდან-მეტყველებაზე პროგრამული უზრუნველყოფა, მათ შორის ტექსტის წამკითხველები ან ეკრანის წამკითხველები, ტესტის ნაწილების გამოტოვება (მაგ., მეტყველების სექციების გამოტოვება მეტყველების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე გამოსაცდელისთვის) და სხვ.

დამხმარე საგამოცდო საშუალებები :

კალკულატორი (მათ შორის დიდი ეკრანით ან ხმოვანი კალკულატორები), საანგარიშო, მართლწერის კორექტორი პროგრამა (როგორც წესი, რომელიც არ არის მოიცავს ლექსიკონის შესაძლებლობებს) და სხვ.

ადმინისტრირების მორგება:

გახანგრძლივებული დრო, აუდიო ნაწილების ხელახლა მოსმენის შესაძლებლობა, დამატებითი შესვენებები, რამდენიმე დღის მანძილზე ტესტირება (გადანაწილება დროში), ტესტირების/შეფასების ცალკე ოთახი, ინდივიდუალურად ან მცირე ჯგუფის პირობებში შეფასება და სხვ.

შინაარსის წარდგენის (პრეზენტაციის) მისაწვდომობის უზრუნველყოფა

ზოგადად, გამოსაცდელისთვის ინფორმაციის მისაწვდომი სახით პრეზენტაცია/მიწოდება ეფექტურად მუშაობს არა მარტო აღნიშნული საჭიროების მქონე პირების შემთხვევაში, არამედ, სტუდენტობის კანდიდატთა/სტუდენტობის უმრავლესობისთვის. მაგალითად, ყველა თანაბარ სარგებელს იღებს, თუ გრაფიკულ გამოსახულებას აქვს სათაური, თუ ინფორმაციის ფორმატი და შრიფტი და ა.შ. უფრო ნათელს ხდის ტესტს. სათანადოდ მოცემული სათაურები და გრაფიკები შეიძლება დაეხმაროს ტიპურ გამოსაცდელს ამოიცნოს ინფორმაციის შედარებითი მნიშვნელობა და თანმიმდევრობა, რომელშიც ის უნდა იყოს განხილული. მიმართულებები, დანომრილი და ბულეტებიანი სიები უფრო ადვილად აღქმადს ხდის ტესტს, ვიდრე ტექსტის აბზაცები. მაგალითისთვის, შინაარსის პრეზენტაციის მორგება შეიძლება ეხებოდეს შემდეგ ასპექტებს:

- ⇒ შრიფტის ტიპი
- ⇒ შრიფტის ზომა
- ⇒ შრიფტის სტილი
- ⇒ ტექსტის განთავსება (მარცხნივ სწორება ტექსტს უფრო ადვილს ხდის წამკითხველისთვის)
- ⇒ კონტრასტი
- ⇒ სტრიქონის სიგრძე
- ⇒ კონვენციები გრაფიკისა და ასოცირებული ტექსტისთვის
- ⇒ სიტყვების დაყოფა სტრიქონებს შორის ან ტექსტის სვეტებსა და გვერდებს შორის
- ⇒ სათაურების ფორმატი

⇒ ეკრანის გარჩევადობა
⇒ პასუხის ფორმატი
⇒ ეკრანის გაყოფა
⇒ ფურცელზე ან ეკრანზე ცარიელი სივრცის რაოდენობა და მდებარეობა
⇒ კომპიუტერის საშუალებით ინსტრუქციების მიწოდების მეთოდი (ტექსტი და აუდიო)
⇒ კომპიუტერზე ინსტრუქციის გაქრობის დრო/ხანგრძლივობა
⇒ აუდიო კომპონენტის შემთხვევაში, ინსტრუქციები ერთდროულად ტექსტის და აუდიოს სახით
⇒ კომპიუტერული ტესტირებისთვის, ინსტრუქციის დატოვება

ზემოჩამოთვლილი და ინფორმაციის/ტესტის წარდგენის ნებისმიერი სხვა ასპექტი თანაბრად შეიძლება იყოს გამოყენებული აკომოდაციის ფარგლებში თუ მის გარეშე უნივერსალური დიზაინის ფარგლებში. ცალკეული გამოსაცდელისთვის საჭირო აკომოდაცია განისაზღვრება კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებით.

შესაძლო აკომოდაციის შეჯამება:

- დამატებითი/გახანგრძლივებული დრო
- შესვენების/შესვენებების შესაძლებლობა
- გასაუბრების/გამოცდის პერიოდის (დღის მონაკვეთი) შერჩევა/მორგება
- ოთახის მორგება (მაგ. ინდივიდუალური სივრცე, განსაკუთრებული განათება)
- განთავსების მორგება
- კომპიუტერის გამოყენების შესაძლებლობა ხელით წერის სანაცვლოდ
- ინფორმაციის წარდგენის ფორმატის მორგება (მაგ. შრიფტის გაზრდა)
- ბრაილის გამოყენება
- ხმოვანი პროგრამის გამოყენება
- ზეპირი გასაუბრების/გამოცდის ჩანაცვლება წერილობითით (სტუდენტობის კანდიდატისთვის პასუხების წერილობით ფორმაში გაცემის შესაძლებლობის მიცემა)
- გამადიდებელი მოწყობილობის გამოყენება
- სხვადასხვა დამხმარე მოწყობილობის გამოყენება (მაგ. კალკულატორი)
- ნაწერის შეფასებისას მართლწერის, პუნქტუაციის, შეცდომების იგნორირება (თუ აღნიშნულის ფლობა კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელ პირობას არ წარმოადგენს და აღნიშნული ასპექტები შეფასების ძირითად კონსტრუქტს არ წარმოადგენს)
- ჟესტური ენის თარჯიმანი
- აუდიო მასალის ჩანაცვლება წასაკითხით (აუდიო მასალის ტრანსკრიპცია)
- ასისტენტი (რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტობის კანდიდატის პასუხების ჩაწერას ან/და მისთვის წაკითხვას)
- სხვა საჭირო აკომოდაციები

მისაწვდომობის უზრუნველყოფა სწავლის პერიოდში

სწავლის პერიოდში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს მისთვის საჭირო მხარდაჭერით სარგებლობის შესაძლებლობა გონივრული მისადაგების ფარგლებში.

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერას ექვემდებარება უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) და ნებისმიერი ტიპის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი, რომელსაც ავტორიზებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახორციელებს.

იმისათვის, რომ სტუდენტმა მისთვის საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა მიიღოს უმაღლესი განათლების პროცესში, ის შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს:

ა) ირიცხებოდეს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში (უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე). აღნიშნული ეხება, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე, სხვა ქვეყნის მოქალაქეებსაც;

ბ) ჰქონდეს სტუდენტის აქტიური სტატუსი (არ ჰქონდეს შეჩერებული ან შეწყვეტილი სტუდენტის სტატუსი);

გ) თავად ჰქონდეს გაკეთებული განაცხადი სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების/მხარდაჭერის მიღების თაობაზე;

დ) წარდგენილი ჰქონდეს უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაცია მისი მდგომარეობის/ფუნქციური საჭიროებების შესახებ;

ე) თავისი საჭიროებებით, აკმაყოფილებდეს სპეციალური საგანმანათლებლო სერვისის/მხარდაჭერის მიღების კრიტერიუმებს.

სტუდენტებისთვის განსაზღვრული მხარდაჭერის ტიპები/ფორმები:

განათლების მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად სტუდენტებისთვის განსაზღვრული აკომოდაციები და მომსახურებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- სწავლის პროცესის აკომოდაცია (მაგ. მოქნილი სწავლების მეთოდები; დამატებითი დრო კურსების დასასრულებლად; და სხვ.);
- სასწავლო მასალის მორგება (მაგ. ლექციის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, ბრაილისა და სხვა ხელმისაწვდომ ფორმატებში შეთავაზება და სხვ.)
- გამოცდებთან დაკავშირებული აკომოდაციები (დამატებითი დრო, გამოკითხვის ფორმატის მორგება და სხვა).
- დამხმარე ტექნოლოგიები, პროგრამები

- ადამიანური/სპეციალისტის დახმარება (მაგ. ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჩანაწერების მწარმოებელი, წამკითხველი გამოცდებისთვის და სხვ.)
- ფიზიკური გარემოს ადაპტირება (პანდუსი/ები, სველი წერტილი და სხვ.)
- რჩევა, საკონსულტაციო, თერაპიული მომსახურება (მაგ. ფსიქოლოგის)
- სასწავლო მასალის/რესურსის აკომოდაცია (მაგ. ხმოვანი წიგნები)
- აუდიტორიის აკომოდაცია (განთავსება, განათლება, აკუსტიკური პირობების მორგება, გამღიზიანებლების შემცირება და სხვ)
- სწავლა/უნარების გამომუშავების მხარდაჭერა (შესაბამისი სფეროს დამატებითი სპეციალისტის, მაგალითად ფსიქოლოგის დახმარება)
- დამხმარე აღჭურვილობა
- ტრანსპორტირება უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან
- ხელმისაწვდომი პარკინგი
- მომსახურების და ემოციური მხარდაჭერის ცხოველები (Service and Emotional Support Animals)
- აუდიტორიების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების გადანაცვლება
- სპეციალური სივრცე სამედიცინო თუ სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად
- სპეციალური აღჭურვილობა (აუდიო ჩამწერი, ვიდეო კამერა, ბრაილერი , გამადიდებელი და სხვ.)
- დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლება (ასეთი საჭიროების შემთხვევაში)
- ტესტის დასაწერად სხვა სივრცის გამოყოფა
- ლექსიკონის ან გრამატიკული შეცდომების ავტო-კორექტორი (ე.წ. spell check)
- დამხმარე საშუალებების გამოყენება;
- მეცადინეობების დროს მცირე შესვენებების გამოყენება;
- სასწავლო მასალების და ტესტირების ფორმატის ცვლილება; (ტექნიკური და არა შინაარსობრივი)
- სხვა შესაძლო აკომოდაცია/მხარდაჭერა/სპეციალური პირობები, რომელიც წინამდებარე ჩამონათვალში არ არის მოყვანილი

ზემოაღნიშნული ზოგიერთი მხარდაჭერა დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, ხოლო ზოგიერთი მათგანი, არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს. მაგალითად, უნივერსიტეტის მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენლის მიერ პროფესორ-მასწავლებლების კონსულტაცია, პროფესორ-მასწავლებლის მიერ სწავლის მეთოდების მორგება უნივერსიტეტისთვის შემუშავებულ გზამკვლევებზე დაფუძნებით; ან უნივერსიტეტს შესაძლოა უკვე შეძენილი ჰქონდეს გარკვეული აღჭურვილობა და ყოველი ახალი სტუდენტის შემთხვევაში აღარ იყოს თავიდან შესაძენი და დროებით გამოყენებაში გადასცემს სტუდენტს.

აკომოდაციები ძალაში შედის, როგორც კი ისინი დამტკიცებულია მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის მიერ. იმ აკომოდაციების უზრუნველყოფა, რომლებიც დამატებითი

თანხების გამოყოფასთან არის დაკავშირებული, მოითხოვს დამტკიცებას უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ.

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის დაფინანსება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ფინანსური მხარდაჭერა წარმოადგენს სახსრებს, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტისთვის განათლებისთვის საჭირო დამატებითი ხარჯების დაფარვას.

დამატებითი დაფინანსება მიმართულია იმ ხარჯების დაფარვაზე, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს სტუდენტის შეზღუდული შესაძლებლობიდან, სწავლის სირთულეებიდან და/ან ჯანმრთელობის პრობლემებიდან და რომლებიც სტუდენტს უჩნდება უმაღლესი განათლების პროცესში (მაგ. ტრანსპორტირების, სპეციალური აღჭურვილობის ხარჯი) და რომელიც სტუდენტს არ ექნებოდა, რომ არა ზემოთ აღნიშნული მდგომარეობები. სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის ფარგლებში უნივერსიტეტი არ ფარავს იმ ხარჯებს, რომლებიც არ უკავშირდება სტუდენტის შეზღუდულ შესაძლებლობას, დასწავლის სპეციფიკურ სირთულეებს თუ ჯანმრთელობას ან იმ ხარჯებს, რომლებიც არ წარმოიქმნებოდა სტუდენტს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში რომ არ ესწავლა. აღნიშნული ხარჯი შეიძლება უკავშირდებოდეს ადამიანური რესურსის/სპეციალისტების დაქირავებას (მაგ. მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, პერსონალური ასისტენტი, ჩანაწერების მწარმოებელი), ასევე სპეციალურ დამხმარე აღჭურვილობას ან ტრანსპორტით უზრუნველყოფას. გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტს დაფინანსება შეიძლება დასჭირდეს გარკვეული მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარსადგენადაც, თუ იმ კონკრეტული შეფასების უზრუნველყოფა არ შეუძლია თავად უნივერსიტეტს/მისაწვდომობის ცენტრის სპეციალისტებს (ასეთის არარსებობის მიზეზით). მაგალითად, ასეთი ტიპის შეიძლება იყოს დასწავლის დარღვევის/სწავლის სპეციფიკური სირთულეების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აღნიშნული მდგომარეობის შეფასება შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი პროფილის სპეციალისტის მიერ, რომელიც შესაძლოა იყოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომელი ან დაწესებულების გარედან ერთჯერადად დაქირავებული სპეციალისტის მიერ.

სტუდენტის მხარდაჭერისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის გამოყოფილი ზოგიერთი ხარჯი შეიძლება იყოს ერთჯერადი ხოლო ზოგიერთი, უფრო განგრძობითი. მაგალითად, სტუდენტისთვის აუდიო ჩამწერის შეძენა ერთჯერად ხარჯს წარმოადგენს; უსინათლო სტუდენტისთვის უნივერსიტეტის ფიზიკურ გარემოში დამოუკიდებელი გადაადგილებისა და ორიენტირების ან ხმოვანი პროგრამის სასწავლებლად ინსტრუქტორის/სპეციალისტის დაქირავება უფრო განგრძობით ხარჯს უკავშირდება, ხოლო

მთელი სასწავლო პროცესის მანძილზე პერსონალური ასისტენტის ანაზღაურების ან ტრანსპორტირების ხარჯის დაფარვა კიდევ უფრო ხანგრძლივ დაფინანსებას მოითხოვს.

შეზღუდულ შესაძლებლობასთან/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებასთან დაკავშირებული ხარჯი შეიძლება მიენიჭოს სტუდენტებს, რომლებსაც დადასტურებული აქვთ მათი შეზღუდული შესაძლებლობა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა, ჯანმრთელობის პრობლემა, სპეციფიკური დასწავლის სირთულე და აღნიშნული მდგომარეობების ფუნქციური გავლენა მათ საუნივერსიტეტო განათლებაზე. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი მდგომარეობების არსებობა, ავტომატურად არ გულისხმობს სტუდენტისთვის დამატებითი დაფინანსების გამოყოფას, თუ კონკრეტული საჭიროებები არ არის და მათთან დაკავშირებული ხარჯები და მხარდაჭერა არ არის სათანადოდ შეფასებული და განსაზღვრული. ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ დამატებითი დაფინანსება ცალკეულ სტუდენტთან არის დაკავშირებული, დაფინანსების გადახდა არ ხდება უშუალოდ სტუდენტისთვის, არამედ, გამოყოფილი თანხით ხდება მისთვის საჭირო მხარდაჭერის შესყიდვა/უზრუნველყოფა.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტს დამოუკიდებლადაც შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას დამატებითი ხარჯების დაფარვის განაცხადით, უმჯობესია, აღნიშნული მიმართვა განხორციელდეს მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის წარმომადგენლის/კოორდინატორის დახმარებითა და შუამავლობით.

აღნიშნული ხარჯების და საჭირო დაფინანსების განსაზღვრა მნიშვნელოვანია სასწავლო სემესტრის დაწყებამდე რაც შეიძლება ადრე, რათა, დროულად მოხდეს სტუდენტის მოთხოვნის დამუშავება და დადასტურების შემთხვევაში, შესაბამისი მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სტუდენტთა დამატებითი ხარჯების დაფინანსების მოდელი განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ უნივერსიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით უნდა განისაზღვროს. რამდენიმე შესაძლო მოდელი განხილულია მოცემული გზამკვლევის ერთ-ერთ თავში.

მხარდაჭერის გეგმა

საჭიროების შემთხვევაში, თავად სტუდენტის აქტიური მონაწილეობით სპეციალური მხარდაჭერის სერვისის ფარგლებში მუშავდება მხარდაჭერის გეგმა, იგივე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.

აღსანიშნავია, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისგან (სკოლებისგან) განსხვავებით, უმაღლესი განათლების საფეხურზე არ იწერება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც სწავლის მიზნების ცვლილებებსაც გულისხმობს. ამრიგად, უმაღლესი განათლების სტუდენტისთვის არ მარტივდება სასწავლო თუ საგამოცდო მასალის/ ტესტების

სირთულე, არამედ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო მასალისა და პროცესის მისაწვდომობას.

მხარდაჭერის გეგმა დეტალურად აღწერს გონივრულ მისადაგებას, რომელსაც უნივერსიტეტი განახორციელებს, რათა სტუდენტმა შეძლოს კომფორტულად, შეუფერხებლად სწავლა და თავისი ნამდვილი პოტენციალის მიღწევა. როგორც წესი, ეს გეგმა საშუალებას აძლევს სტუდენტს მოითხოვოს კურსის გახანგრძლივება, ლექციის წინ ჩანაწერების მიღება და წვდომა ლექციების ჩანაწერებზე (მაგ. აუდიო ჩანაწერი) და ჰქონდეს გონივრული მისადაგების გამოყენების შესაძლებლობა ტესტირებების და გამოცდების დროს. მხარდაჭერის გეგმა ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას უნივერსიტეტის დეპარტამენტის პერსონალისთვის სტუდენტის საჭიროებების და მათ მიერ აუცილებლად გასაწევი მხარდაჭერის გასაცნობად ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც წარმოიქმნება სტუდენტის შეზღუდული შესაძლებლობის, სამედიცინო და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სწავლასთან დაკავშირებული სპეციფიკური საჭიროებების გავლენით.

კონფიდენციალობის დაცვის ფარგლებში, სტუდენტის მხარდაჭერის გეგმა გაზიარებულია მხოლოდ იმ პირებთან, ვისაც უშუალო როლი/პასუხისმგებლობა აქვთ გეგმის/მასში განსაზღვრული ღონისძიებების/აკომოდაციების განხორციელებაში (მაგ. პროფესორ-მასწავლებლები), უნივერსიტეტის ადმინისტრაცია). შესაბამის პირებთან მხარდაჭერის გეგმის გაზიარების შესახებ თანხმობა, გაცხადებული და წერილობით დადასტურებულია სტუდენტის მიერ.

სპეციალური საგანმანთლებლო მომსახურების/მხარდაჭერის მიღების პროცედურა:

- ☑ სტუდენტი ავსებს სპეციალური განაცხადის ფორმას, რომელიც განთავსებულია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ გვერდზე; სტუდენტი წარადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას; ფორმის შევსებამდე და დოკუმენტაციის წარდგენამდე, სურვილის შემთხვევაში, სტუდენტს უნდა ჰქონდეს მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის წარმომადგენელთან კონსულტაციის გავლის შესაძლებლობა; სტუდენტს ეცნობება მისი სტუდენტური ელექტრონული ფოსტით 5-7 სამუშაო დღის განმავლობაში, მოთხოვნა და მიწოდებული დოკუმენტაცია სრულია, თუ საჭიროა დამატებითი ინფორმაცია; მას შემდეგ, რაც მოთხოვნილი აკომოდაციების განხილვის შემდეგ, მისაწვდომობის ცენტრი მიიღებს კონკრეტულ რეკომენდაციებს სტუდენტის აკომოდაციებთან დაკავშირებით, სტუდენტს ეცნობება 5-7 სამუშაო დღის განმავლობაში. თუ აღნიშნულ პერიოდში მისაწვდომობის ცენტრს დასჭირდება დამატებითი ინფორმაცია ან/და გარკვეული დაზუსტებები, სტუდენტს მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება ეცნობოს 7-10 სამუშაო დღის განმავლობაში მათი განაცხადის სტატუსის შესახებ. თუ სტუდენტისთვის დამტკიცდება მოთხოვნილი

აკომოდაციები/სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა, ის პირდაპირ ეგზავნება მას ელექტრონული ფოსტით. თუ სტუდენტის მოთხოვნა აკომოდაციების თაობაზე არ დამტკიცდება, ის აღნიშნულის თაობაზე ინფორმაციას მიიღებს ელ. ფოსტის საშუალებით მისაწვდომობის ცენტრიდან.

- ☑ სტუდენტი ხვდება მომსახურების მომსახურების/ცენტრის წარმომადგენელს (მრჩეველი/კოორდინატორი), რომელიც შევსებულ განაცხადსა და წარდგენილ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით განიხილავს სტუდენტთან ერთად მის საჭიროებებს და სასურველ/საჭირო მხარდაჭერას და ერთობლივად დგება სტუდენტის მხარდაჭერის გეგმა (ისგ); ამრიგად, სტუდენტები, რომლებიც წარადგენენ განაცხადს აკომოდაციების/სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის მიღებაზე, უნდა შეხვდნენ აღნიშნული მომსახურების წარმომადგენელს (მაგ. კოორდინატორს), რათა დადგინდეს მათი დიაგნოზის/მდგომარეობის ფუნქციური გავლენა მათ სწავლასა და სასწავლო გარემოში მონაწილეობაზე. აკომოდაციების/მხარდაჭერის განსაზღვრა ხდება ინდივიდუალურად (ცალკეული შემთხვევის განხილვით) სტუდენტთან ინტერაქტიული პროცესის საშუალებით, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტს შეიძლება ჰქონდეს ცალკეულ მდგომარეობასთან დაკავშირებული აკომოდაციების გზამკვლევი/პროტოკოლები. აკომოდაციების ვარიაციების შეთავაზება-განსაზღვრა მისაწვდომობის ცენტრის შესაბამისი სფეროს სპეციალისტის (მაგ. ფსიქოლოგი, სპეციალური განათლების სპეციალისტი) მიერ ხდება სტუდენტთან ერთი ან რამდენიმე გასაუბრების შემდეგ და სტუდენტის მიერ მიწოდებული დოკუმენტაციის (მაგალითად, სამედიცინო ანგარიშები) განხილვის შემდეგ.
- ☑ იდენტიფიცირებული მხარდაჭერის გათვალისწინებით, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი დაფინანსების საჭიროებაც, რომლიც შეიძლება უზრუნველყოფილ იყოს უნივერსიტეტის მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლების მხარდაჭერისთვის განსაზღვრული ბიუჯეტიდან. აღნიშნული მიზნით, სტუდენტმა უნდა გააკეთოს თანხის მოთხოვნის დამატებითი განაცხადი. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია ისარგებლოს მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის წარმომადგენელის დახმარებით. მისაწვდომობის მომსახურების/ცენტრის წარმომადგენელმა/მომსახურების კოორდინატორმა ადვოკატირება უნდა გაუწიოს სტუდენტისთვის საჭირო დაფინანსებას გამოყოფას;
- ☑ უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მიერ განაცხადის განხილვა და განაცხადის დაკმაყოფილების, შესაბამისი თანხის გამოყოფა.
- ☑ სტუდენტისთვის განსაზღვრული მხარდაჭერის პრაქტიკაში უზრუნველყოფა. აქვე გასათვალისწინებელია, რომ სტუდენტისთვის იმ აკომოდაციების უზრუნველყოფა, რომლებიც დამატებით ხარჯებთან არ არის დაკავშირებული, შეიძლება დაიწყოს მყისიერად თუ ამის საჭიროება არის და არა სხვა მხარდაჭერის უზრუნველყოფისთვის საჭირო თანხების გამოყოფის შემდეგ;
- ☑ განსაზღვრული მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესისთვის თვალის მიდევნება;

☑ სემესტრის ან სასწავლო წლის დასრულებისას სტუდენტთან გაწეული მხარდაჭერის განხილვა/მასზე რეფლექსია. ყოველი სემესტრის ბოლოს, მომსახურების კოორდინატორის მიერ სტუდენტთან ერთად უნდა მოხდეს გაწეული და სამომავლო მხარდაჭერის განხილვა და მასში საჭირო ცვლილებების შეტანა. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი რომელიმე მომსახურებას აღარ საჭიროებს, ან სტუდენტს უჩერდება ან უწყდება სტატუსი ან სტუდენტი იცვლის უნივერსიტეტს, წყდება კონკრეტული უნივერსიტეტის ფარგლებში მისი დაფინანსებაც.



რომ შევაჯამოთ, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაწვდომობის უზრუნველყოფის პროცესში სამი ძირითადი დაინტერესებული მხარე მონაწილეობს: თავად სტუდენტი, მისაწვდომობის მომსახურება და უნივერსიტეტის ფაკულტეტების და ადმინისტრაციის წარმომადგენლები:

დაინტერესებული მხარეები	**ფუნქცია**
სტუდენტები	მომსახურების მისაღებად თვითშეფასების კითხვარის შევსება /განაცხადის გაკეთება
მისაწვდომობის მომსახურება	კონსულტირება, სტუდენტზე მორგებული აკომოდაცია, ტექნიკური მხარდაჭერა, ინტეგრაცია
ფაკულტეტი/ადმინისტრაცია	ღირსეული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა

დანართები

დანართი N1 მდგომარეობები, რომლებიც ექვემდებარება სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას

მდგომარეობა	აღწერა/დაზუსტება
ფიზიკური უნარის შეზღუდვა (მაგ. გადაადგილების)	ფიზიკური უნარის შეზღუდვა/დარღვევა გულისხმობს მრავალფეროვან ორთოპედიულ/მობილობასთან დაკავშირებული სირთულეებს, რომლებიც შესაძლოა იყოს თანდაყოლილი ან შეძენილი (მაგ. უბედური შემთხვევის, რაიმე დაავადების ან ტრავმის შედეგად), ან განპირობებული იყოს პროგრესირებადი ნეიროკუნთოვანი დაავადებებით. ფიზიკური უნარის შეზღუდვა მოიცავს ისეთ მდგომარეობებს, როგორიცაა ზურგის ტვინის დაზიანება, ცერებრული დამბლა, სპინა ბიფიდა, ამპუტაცია, კუნთოვანი დისტროფია, პარეზი, ართრიტი და იმ სხვა მდგომარეობებს, რომლებიც გავლენას ახდენს ადამიანის ფიზიკურ სხეულზე, თავისა და კისრის მოძრაობაზე, ზედა ან/და ქვედა კიდურების გამოყენებაზე, მოძრაობების კოორდინაციაზე, დგომის, ჯდომის ან სიარულის უნარზე, შესრულების ტემპზე, გამძლეობაზე, ენერგიაზე, განაპირობებდეს ტკივილს, ადვილად დაღლას, დაქვეითებულ ენერგიას, სხვადასხვა დამხმარე საშუალების გამოყენებას (მაგ. ყავარჯნების, ხელჯოხების, ეტლის და სხვა დამხმარე საშუალებების.)
მხედველობის დარღვევა - უსინათლო ან მხედველობის დაქვეითების მქონე (მცირემხედველი) პირი	მხედველობის დარღვევა მოიცავს მხედველობის სხვადასხვა ხარისხის დაქვეითებას, რომლის აღდგენაც ვერ მოხდება სათვალის/კონტაქტური ლინზების (კორექტირების) საშუალებით. მხედველობის დაქვეითებამ შეიძლება გავლენა მოახდინოს ცენტრალური მხედველობის სიმახვილეზე, მხედველობის ველზე ან ფერის აღქმაზე. მცირემხედველ ადამიანთა უმეტესობას შეუძლია რაღაცის დანახვა (ზოგიერთი ადამიანი ყველაფერს ხედავს, თუმცა

	ბუნდოვნად) და შენარჩუნებული აქვს გარკვეული ხარისხის ფუნქციური მხედველობა, თუმცა, სხვადასხვა ყოველდღიური საქმიანობისა და განათლების მიღების პროცესში, საჭიროებს სპეციალური ტექნოლოგიებით მხარდაჭერას. უსინათლოობა გულისხმობს, რომ ადამიანის ცენტრალური მხედველობის სიმახვილე არ აღემატება 20%-ს უკეთესად მხედველ თვალში კორექტირებით (სათვალე/კონტაქტური ლინზა). თუ ინდივიდი უკეთესად მხედველი თვალით ხედავს მხოლოდ სამ მეტრზე ნაკლებ დისტანციაზე, ის განიხილება, როგორც უსინათლო. ამ შემთხევაში, ადამიანს უჭირს გადაადგილება დახმარების გარეშე. უსინათლო ადამიანთა ნაწილს შეუძლია განასხვავოს სინათლე, მაგრამ სხვა არაფერი, ხოლო ტოტალური უსინათლოობის შემთხვევაში, ადამიანს არ შეუძლია სინათლის აღქმაც.
სმენის დარღვევა - ყრუ ან სმენადაქვეითებული პირი (სიყრუე ან სმენის დაქვეითება)	სმენის დაზიანება ვარირებს მსუბუქიდან საკმაოდ მძიმე დაქვეითებამდე, შეიძლება გამოხატული იყოს ერთ ან ორივე ყურში, იყოს ნაწილობრივ ან სრულად დაქვეითებული და ადგილი ჰქონდეს სიყრუეს. სიყრუე განისაზღვრება, როგორც სმენის მძიმე დაზიანება, რომლის დროსაც ადამიანს არ შეუძლია სმენის საშუალებით ლინგვისტური/ენობრივი ინფორმაციის დამუშავება და სმენის საშუალებით კომუნიკაციის დამყარება მაშინაც კი, როდესაც სმენის გამაძლიერებელ მოწყობილობას იყენებს. სმენის დაზიანების მქონე ადამიანი შეიძლება იყენებდეს სმენის აპარატს ან კოხლეარულ იმპლანტს ან ორივეს ერთდროულად სხვადასხვა ყურისთვის. თუმცა, აღნიშნული სმენის გამაძლიერებელი საშუალებების გამოყენება იმთავითვე არ გულისხმობს, რომ ადამიანს შეუძლია მის გარშემო არსებული ხმების და სხვათა მეტყველების სრულად აღქმა. ამასთანავე, სმენის დაქვეითება გავლენას ახდენდეს ადამიანის მიერ საკუთარი მეტყველების

	კონტროლის უნარზეც. სმენადაქვეითებულ ადამიანების ნაწილს შეუძლია გამოიყენოს ტუჩებიდან (ბაგეებიდან) კითხვა, თუმცა, სხვისი მეტყველების მხოლოდ 30/40% არის გასაგები მათთვისაც კი, ვინც აღნიშნული მიმართულებით მაღალკვალიფიციურია. ყრუ ადამინების უმეტესობა კომუნიკაციის დასამყარებლად ეფუძნება ჟესტურ ენას. სმენის დაქვეითების ხარისხის და დაქვეითების პერიოდის გათვალისწინებით (მაგ. დაბადებამდე, ადრეული ბავშვობის თუ ზრდასრულობის პერიოდი), სმენის დარღვევის მქონე ადამიანს შესაძლოა ჰქონდეს წერილობითი ნამუშევრის შექმნის სირთულეც (მაგ. გრამატიკა, წერის მთლიან სტრუქტურა და სხვა).
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა	ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (WHO) თანახმად, ფსიქიკური ჯანმრთელობა არის კეთილდღეობის მდგომარეობა, რომელშიც ინდივიდი აცნობიერებს საკუთარ შესაძლებლობებს, შეუძლია გაუმკლავდეს ცხოვრების ნორმალურ სტრესებს, შეუძლია იყოს ნაყოფიერად იმუშაოს და შეუძლია წვლილი შეიტანოს თავის საზოგადოებაში (WHO, 2018). ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ასოცირდება იმ ფსიქოლოგიურ სიმპტომებთან, რამაც შეიძლება ნეგატიური გავლენა მოახდინოს ადამიანის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე. ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები შეიძლება მოიცავდეს დეპრესიას, შფოთვას, პიროვნების აშლილობას, ბიპოლარულ და კვების და სხვა ტიპის დარღვევებს. ადამიანი შეიძლება განიცდიდეს ფსიქიკური ჯანმრთელობის გრძელვადიანი მდგომარეობას, რომელიც შეიძლება მერყეობდეს დროთა განმავლობაში და შეიძლება გამწვავდეს მაღალი სტრესის დროს.
აუტიზმის სპექტრის აშლილობა	აუტისტური სპექტრის აშლილობა არის ცენტრალური ნერვული სისტემის

	განვითარებასთან დაკავშირებული მდგომარეობა. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანის კომუნიკაცია, სწავლა, ურთიერთქმედება და ადამიანებისა და სამყაროს აღქმის გზა, შესაძლოა განსხვავებული იყოს იმათგან, ვისაც ეს მდგომარეობა არ აქვს. "სპექტრი", ნიშნავს, აღნიშნული მდგომარეობა სხვადასხვა ადამიანებში განსხვავებულად, სხვადასხვა ხარისხით ვლინდება. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანების სწავლის, აზროვნების და პრობლემის გადაჭრის უნარი შეიძლება ძალიან განსხვავდებოდეს. ზოგს დიდი დახმარება სჭირდებოდეს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ზოგს კი არა. მიუხედავად იმისა, რომ აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ სირთულეები სოციალურ ინტერაქციაში და ადამიანთა ჯგუფებთან მუშაობისას, მათ შეიძლება ჰქონდეთ საშუალოზე მაღალი ინტელექტის კოეფიციენტი (IQ), რომელიც საშუალებას აძლევთ მათ განვითარდნენ აკადემიურ გარემოში და კონკრეტულ სფეროში განივითარონ მაღალი კომპეტენცია. აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე ადამიანები შეიძლება განიცდიდნენ ისეთ სირთულეებს, როგორიცაა: სხვათა ემოციების ინტერპრეტაცია/საკუთარის სათანადოდ გამოხატვა, სოციალური ნიშნების გაგების/ინტერპრეტაცია, ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, ახალი ადამიანების გაცნობა და მეგობრობის შენარჩუნება, ჯგუფურ სიტუაციაში (ფორმალური და არაფორმალური) ურთიერთობა/მუშაობა, გარემოს გამღიზიანებლებზე სათანადოდ რეაგირება და სხვ.
ხანგრძლივი ან/და მწვავე სამედიცინო/მდგომარეობა/ჯანმრთელობის პრობლემები	მნიშვნელოვანი მიმდინარე/ქრონიკული დაავადება ან ჯანმრთელობის გამწვავება, არის სამედიცინო მდგომარეობა, რომელსაც აქვს მუდმივი და არსებითი გავლენა ადამიანის

	ჯანმრთელობაზე. ბუნებრივია, სხვადასხვა დაავადების მიმდინარეობა, მასთან დაკავშირებული სიმპტომები და შედეგები განსხვავდება. გამოწვევები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდნენ სტუდენტები მნიშვნელოვანი ქრონიკული ავადმყოფობით შეიძლება იყოს: ტკივილი, დაღლილობა (ფიზიკური, კოგნიტური და ემოციური გადაღლა), სწავლისას კონცენტრაციასთან და ყურადღებასთან დაკავშირებული სირთულე. ზოგიერთი შეიძლება განსაკუთრებულად მოწყვლადი იყოს სტრესის მიმართ და დაავადებები შეიძლება გამწვავდეს სტრესის დროს. სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს დასუსტებული იმუნური სისტემა, მოძრაობის სირთულეები ან კუნთების სისუსტე. სტუდენტებს, რომლებმაც ცოტა ხნის წინ შეიძინეს მნიშვნელოვანი ქრონიკული დაავადება, შეიძლება განიცადონ პრობლემები ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან მხრივ.
დასწავლის უნარის დარღვევა/სწავლის სპეციფიკური სირთულეები	სწავლის სპეციფიკური სირთულეები არის ტერმინი, რომელიც გამოიყენება რიგი მდგომარეობებისთვის, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანის დასწავლის უნარზე და გამოიხატება ერთ ან რამდენიმე პროცესთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ სირთულეებში რომელიც საჭიროა გამართული კითხვის, წერისა და რიცხვებით მანიპულაციისთვის. დასწავლის უნარის დარღვევა/სწავლის სპეციფიკური სირთულეები არის ნეიროგანვითარების დარღვევა, ე.წ. "ფარული" დარღვევა. სწავლის უნარის დაქვეითების მქონე სტუდენტს აქვს საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტი. აღნიშნული მდგომარეობა არ არის სწავლისადმი სიზარმაცის ან განათლების შესაძლებლობების ნაკლებობის შედეგი. სწავლის სირთულეები მოიცავს დისლექსიას (კითხვის სირთულე), დისგრაფიას (წერის სირთულე) და/ან დისკალკულიას (მათემატიკის სირთულე), შეიძლება მოიცავდეს მეხსიერების, ორგანიზებისა და კოორდინაციის სირთულეებს.

	სწავლის სპეციფიკური სირთულეების მქონე პირები ხშირად აღწევენ განათლებაში მაღალ შედეგებს სათანადო მხარდაჭერის და მათი ძლიერი მხარეების გამოყენების პირობებში.
ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის (ADHD).	ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის (ADHD) არის ნეიროგანვითარების დარღვევა, რომელიც ხასიათდება ყურადღების კონცენტრირების, ქცევის კონტროლის (იმპულსურობა), ემოციების რეგულაციის სირთულეებით. ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომის მქონე სტუდენტს შეიძლება ჰქონდეს სირთულეები ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ ან რამდენიმე ასპექტში: კონცენტრირება/ფოკუსის შენარჩუნება, მოსმენა, დავალების/მუშაობის ორგანიზება, შესრულება და თანმიმდევრულობა, მითითებების მიყოლა, აქტივობებს შორის გადასვლები, მრავალნაბიჯიანი პრობლემების ორგანიზება, სხვებთან ურთიერთობა. ADHD -ის მქონე სტუდენტებმა შეიძლება განიცადონ გამოწვევები სენსორულ დამუშავებასთან დაკავშირებით (სენსორული დამუშავება შეიძლება ხასიათდებოდეს მომატებული მგრძნობელობით ან სენსორული სტიმულების დამუშავების სირთულეებით). ADHD-ის მქონე სტუდენტები ასევე არიან უაღრესად ინტუიციურნი, ენერგიული, კრეატიული, აქვთ კარგი წარმოსახვა და მაღალი ფოკუსირების უნარი როდესაც მოტივირებულნი არიან.

დანართი N2 სტუდენტის განაცხადის ფორმა

სტუდენტის განაცხადის ფორმა
გონივრული აკომოდაციების/მხარდაჭერის უზრუნველყოფაზე

თუ თქვენ საჭიროებთ რაიმე აკომოდაციას ან საგანმანათლებლო მხარდაჭერას შეზღუდული შესაძლებლობის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების, მნიშვნელოვანი

ჯანმრთელობის პრობლემების ან სხვა მდგომარეობით განპირობებული სწავლის სირთულეების მიზეზით, გთხოვთ, შეავსოთ სტუდენტური განაცხადის ფორმა.

განაცხადის გაკეთება სამ საფეხურს მოიცავს:

1. წინამდებარე ფორმის შევსება

2. თქვენი შეზღუდული შესაძლებლობის/სხვა მდგომარეობის მტკიცებულებების წარმოდგენა მოთხოვნილი დოკუმენტაციის სახით. თუ აღნიშნული დოკუმენტაცია უკვე წარმოდგენილი გაქვთ უნივერსიტეტში გამოცდის/გასაუბრების აკომოდაციისთვის, თავიდან იმავე დოკუმენტაციის წარმოდგენა საჭირო არაა;

3. მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენელი შეაფასებს თქვენს საჭიროებებს და თქვენთან კოორდინაციაში განსაზღვრავს საჭირო მხარდაჭერას/გონივრულ აკომოდაციებს.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენელს შესაძლოა დასჭირდეს თქვენი მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება სამედიცინო სფეროს/სხვა სპეციალისტისგან, რომელსაც თქვენ თავად მიუთითებთ მოცემულ ფორმაში.

მისაწვდომობის მომსახურება პასუხისმგებელია თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურად შენახვაზე.

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:

სახელი და გვარი:

სქესი: ☐მდედრობითი ☐მამრობითი

პირადი ნომერი:

განათლების საფეხური:

☐ბაკალავრიატი

☐მაგისტრატურა

☐დოქტორანტურა

☐სხვა (გთხოვთ მიუთითოთ)

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წელი:

პროგრამაზე სწავლის წელი:

☐პირველი

☐მეორე

☐მესამე

☐მეოთხე

☐სხვა (გთხოვთ, დააზუსტოთ)

იურიდიული მისამართი:

ფაქტიური საცხოვრებლის მისამართი:

ელექტრონული ფოსტა:

საკონტაქტო ტელეფონის ნომერი:

სპეციალისტის სახელი გვარი, რომელსაც შეიძლება მიმართოს მისაწვდომობის მომსახურებამ სტუდენტის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად/ინფორმაციის დასაზუსტებლად (ასეთი საჭიროების შემთხვევაში)

სპეციალისტის საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა:

მობ. ტელ.:

კითხვები:

1. გთხოვთ, მონიშნოთ რა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება/ჯანმრთელობის პრობლემა გაქვთ (შესაძლებელია ერთზე მეტი პასუხის მონიშვნა)

☐ფიზიკური/მოტორული უნარის შეზღუდვა

☐მხედველობის დარღვევა: ☐უსინათლო

☐მცირემხედველი პირი

☐სმენის დარღვევა:

☐ყრუ

☐სმენადაქვეითებული

☐აუტიზმის სპექტრის აშლილობა

☐დასწავლის უნარის დარღვევა/დასწავლის სპეციფიკური სირთულეები (მაგ. დისლექსია, დისპრაქსია, დისკალკულია)

☐ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD).

☐ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა

☐ქრონიკული ან/და მწვავე სამედიცინო/მდგომარეობა/ჯანმრთელობის პრობლემები (გთხოვთ, დააზუსტოთ)

2. დაგჭირვებიათ/მიგიღიათ თუ არა რაიმე ტიპის აკომოდაცია/სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება მოცემულ პერიოდამდე (გთხოვთ, მონიშნოთ თქვენთვის რელევანტური პასუხი):

☐სკოლაში სწავლის დროს
☐პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დროს
☐პროფესიული ტესტირებაზე
☐ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე
☐საერთო სამაგისტრო გამოცდებზე
☐სხვა უნივერსიტეტში სწავლის დროს
☐ამავე უნივერსიტეტში სწავლის დროს

3. იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ პერიოდამდე მიგიღიათ სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება/აკომოდაცია, გთხოვთ დააზუსტოთ, მხარდაჭერის ტიპი:

4. რამდენი ხანია, რაც შეზღუდული შესაძლებლობა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება (სწავლასთან დაკავშირებული სირთულე), ფსიქიკური ჯანმრთელობის ან ჯანმრთელობის პრობლემები გაქვთ?

5. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ რა გავლენა აქვს თქვენს შეზღუდულ შესაძლებლობას ან სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებას ან ჯანმრთელობის პრობლემას ან ფსიქიკური ჯამრთელობის პრობლემას ან სხვა მდგომარეობას თქვენს ყოველდღიურ ფუნქციონირებასა და სწავლაზე? ან რა გავლენა შეიძლება იქონიოს უნივერსიტეტში სწავლაზე? (გთხოვთ, გასცეთ მოკლე, მაქსიმალურად კონკრეტული პასუხი)

6. იღებთ თუ არა ამჟამად თქვენს მდგომარეობასთან პირდაპირ დაკავშირებულ მედიკამენტს?
☐**დიახ** (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**არა**

7. იყენებთ თუ არა ამჟამად რაიმე დამხმარე საშუალებას/მოწყობილობას/ტექნოლოგიას?
☐**დიახ** (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**არა**

8. იყენებთ თუ არა ამჟამად ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის ან სხვა რომელიმე სპეციალისტის მხარდაჭერას?
☐**დიახ** (გთხოვთ, დააზუსტოთ)

☐არა

9. რა ტიპის აკომოდაცია/მხარდაჭერა გესაჭიროებათ უნივერისტეტის მიერ ჩასატარებელი გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის? [6] (მონიშნეთ თქვენთვის რელევანტური ყველა პასუხი)

☐**ინფორმაციის წარდგენის რეჟიმის მორგება:** (ბრაილით ნაბეჭდი, დიდი ზომის შრიფტი და სხვა). (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**რეაგირების (პასუხების გაცემის) რეჟიმის მორგება**: (მაგ. წერილობით პასუხი ზეპირის ნაცვლად). (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**დამხმარე მოწყობილობები/საშუალებები/კომპიუტერული პროგრამა.** (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**გამოცდის/გასაუბრების ადმინისტრირების მორგება** (მაგ. გახანგრძლივებული დრო, დამატებითი შესვენებები). (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**ადამიანის მიერ გაწეული დახმარება** (მაგ. ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი)
☐**ფიზიკური გარემოს მისაწვდომობა.** (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐**სხვა** (გთხოვთ, დააზუსტოთ)

10. რა ტიპის აკომოდაციებს/სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას საჭიროებთ უნივერსიტეტში სწავლისას? (მონიშნეთ ყველა თქვენთვის რელევანტური პასუხი)

☐ადაპტირებული ფიზიკური გარემო
☐ადამიანური მხარდაჭერა (ასისტენტი, ლექციის ჩანაწერის მწარმოებელი, ჟესტური ენის თარჯიმანი, სხვ.). (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐დამხმარე მოწყობილობები. (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐ტრანსპორტირება (მათ შორის ადაპტირებული ტრანსპორტი). (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐ადაპტირებული სასწავლო მასალა/რესურსი. (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐შუალედური შეფასების/გამოცდების ადაპტირებული ფორმატი. (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐ადაპტირებული სასწავლო პროცესი. (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐ადაპტირებული კომუნიკაცია. (გთხოვთ, დააზუსტოთ)
☐ადაპტირებული სტუდენტური საცხოვრისი
☐სხვა. (გთხოვთ, დააზუსტოთ)

11. ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც მნიშვნელოვანად მიგაჩნიათ და თქვენს მდგომარეობას/სწავლის სირთულეებს უკავშირდება:

[6] ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტობის კანდიდატი აკომოდაციას ითხოვს უნივერსიტეტის შიდა გამოცდისთვის/გასაუბრებისთვის უნივერსიტეტში ჩარიცხვამდე.

სტუდენტის ინფორმირებული თანხმობა[7]

- მე ვაძლევ უფლებას უნივერსიტეტს გაუზიაროს ინფორმაცია ჩემი შეზღუდული შესაძლებლობის/სხვა მდგომარეობის ან/და საჭირო მხარდაჭერის/აკომოდაციის შესახებ ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იმ პერსონალს და სხვა პირებს, რომლებსაც უნივერსიტეტი გონივრულად მიიჩნევს საჭიროებების შეფასების, აკომოდაციის/მხარდაჭერის უზრუნველყოფის და/ან აკადემიური კონსულტაციის მიზნებისთვის.

☐დიახ
☐არა

- მე ვაძლევ უფლებას უნივერსიტეტს/მის მიერ განსაზღვრულ უფლებამოსილ პირს დაუკავშირდეს ჩემს ექიმს/სხვა სპეციალისტებს და/ან სხვებს, ვინც მონაწილეობდა ჩემს დიაგნოსტირებაში ან/და რომლისგანაც მივიღე ჩემი მდგომარეობის შესახებ უნივერსიტეტში წარმოსადგენი დოკუმენტაცია. მე დამატებით უფლებას ვაძლევ აღნიშნულ პირს (ექიმს/სხვა სპეციალისტებს) რომ გაუზიაროს უნივერსიტეტს/უფლებამოსილ პირს მის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, რომელიც შესაბამისია ჩემს მიერ წარდგენილი დოკუმენტაციისთვის, რათა განისაზღვროს ჩემთვის გონივრული აკომოდაციები/მხარდაჭერა.

☐დიახ
☐არა

ამ ფორმის შევსებითა და წარდგენით თქვენ ადასტურებთ, რომ წარმოდგენილი ყველა ინფორმაცია და დოკუმენტაცია შეესაბამება სიმართლეს.
☐ვეთანხმები
☐არ ვეთანხმები

ფორმის შევსების თარიღი: ჩამოშალეთ ფანჯარა თარიღის შესაყვანად

დანართი N3 სტუდენტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები დოკუმენტაციის წარმოსადგენად

1. დოკუმენტაცია უნდა იყოს დაბეჭდილი სამედიცინო დაწესებულების/კლინიკის ოფიციალურ ბლანკზე;
2. დოკუმენტაცია გაცემული უნდა იყოს პროფესიონალის მიერ, რომელიც უფლებამოსილია კონკრეტულ სფეროში (ფსიქოლოგიური, ფსიქიკური ჯანმრთელობის და/ან სამედიცინო) შეაფასოს პირის მდგომარეობა და დასვას შესაბამისი დიაგნოზი;

[7] აღნიშნული ტექსტი წარმოადგენს მხოლოდ ნიმუშს. ინფორმირებული თანხმობის ტექსტი უნდა მომზადდეს უნივერსიტეტის მიერ უსდ-ის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან შეთანხმებით

3. დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს ყველა შესაბამის დიაგნოზს, მკაფიოდ ჩამოყალიბებულს და ახსნილს.
4. სასურველია, დოკუმენტაციაში შეტანილი იყოს ინფორმაცია გამოყენებული ტესტების/შეფასების ინსტრუმენტების შესახებ.
5. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტს აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი, წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშნული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. სასურველია, დოკუმენტაცია შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ ამჟამად რა გავლენას ახდენს დიაგნოზი/შეზღუდული შესაძლებლობა ინდივიდზე და ძირითად ცხოვრებისეულ აქტივობებზე, რა უარყოფითი ეფექტი აქვს და რა ზომები უნდა იქნას მიღებული აღნიშნული ნეგატიური გავლენის/შეზღუდვების შესამცირებლად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს მკურნალობას, მედიკამენტებს (პოტენციური გვერდითი მოვლენების ჩათვლით) და საჭირო დამხმარე მოწყობილობებს;
7. დოკუმენტაციამ უნდა უზრუნველყოს რეკომენდაციები ინდივიდუალური აკომოდაციების შესახებ და მოიცავდეს რეკომენდებული აკომოდაციების დასაბუთებას.
8. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ბიოფსიქოსოციალური შეფასება, სასურველია აღნიშნული შეფასების წარმოდგენაც.
9. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წინარე განათლების პერიოდში (ზოგადი, პროფესიული თუ უმაღლესი განათლების საფეხურზე) სარგებლობდა რაიმე მხარდაჭერით, სასურველია, აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენა.

წარმოსადგენი დოკუმენტაცია:[8]

N	მდგომარეობა/დიაგნოზი	დოკუმენტაციის დასაშვები ხანდაზმულობა	მისაღები შემფასებელი	დიაგნოზის/მდგომარეობის დადასტურება
1	ფიზიკური შეზღუდული შესაძლებლობა (ფიზიკური უნარის შეზღუდვა)	დამოკიდებულია მდგომარეობაზე (მდგომარეობა არის სტატიკური თუ ცვალებადი)	ლიცენზირებული სამედიცინო სპეციალისტი/ ექიმი	დიაგნოზი. დოკუმენტაცია განსხვავდება დიაგნოზის მიხედვით; ცნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

[8] *ეფუძნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დოკუმენტაციის სახელმძღვანელო მითითებებს უმაღლესი განათლების დონეზე აკომოდაციის უფლებამოსილების განსასაზღვრად. შემუშავებული აშშ (ჯორჯიას შტატის) უმაღლესი განათლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის ასოციაციის, ასევე, უმაღლესი განათლებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ასოციაციის (AHEAD) მიერ. ამასთანავე, ცხრილში მოცემული დოკუმენტაციის ნუსხა მორგებულია ადგილობრივ კონტექსტზე.*

2	მხედველობის დარღვევა - უსინათლო ან მხედველობის დაქვეითების მქონე (მცირემხედველი) პირი	დამოკიდებულია მდგომარეობაზეა (მდგომარეობა არის სტატიკური თუ ცვალებადი) ტოტალური უსინათლობის შემთხვევაში, დოკუმენტაციის ხმოვანებას არ აქვს მნიშვნელობა	ოფთალმოლოგი/ოკულისტი; *შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია - მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტისგან*	დიაგნოზი, მხედველობის შეფასება; ინფორმაცია, თუ როგორ შეიძლება დაკმაყოფილდეს სტუდენტის საჭიროება (როგორ უნდა მოხდეს მდგომარეობის აკომოდაცია);
3	სმენის დარღვევა - ყრუ ან სმენადაქვეითებული პირი (სიყრუე ან სმენის დაქვეითება)	დამოკიდებულია მდგომარეობაზე (სტატიკურია თუ ცვალებადი) ტოტალური სიყრუის შემთხვევაში, ხმოვანებას არ აქვს მნიშვნელობა.	ოტორინოლარინგოლოგი, აუდიოლოგი; *შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია სმენისა და მეტყველების სპეციალისტისგან*	აუდიოლოგიური შეფასება ან აუდიოგრამა, სმენის ფუნქციური შედეგების ინტერპრეტაცია, საჭირო აკომოდაციები. კოხლეარული იმპლანტაციის მქონე სტუდენტის შემთხვევაში, აუდიოგრამის წარმოდგენა არ არის საჭირო.
4	დასწავლის უნარის დარღვევა/დაქვეითება/ დასწავლის სპეციფიკური სირთულეები (დისლექსია, დისპრაქსია, დისკალკულია)	არაუმეტეს 3 წელი	კლინიკური ფსიქოლოგი, ნეიროფსიქოლოგი	ინტელექტუალური ფუნქციონირების/უნარის ტესტი (სასურველია Wechsler Adult Intelligence Scale) სტანდარტული ქულებით; კითხვის, მათემატიკისა და წერითი მეტყველების მიმდინარე მიღწევის დონეები (მისაღები ინსტრუმენტებია Woodcock Johnson Psychoeducational Battery, Wechsler Individual Achievement Test ან სხვა შესაბამისი ინსტრუმენტი). *ინდივიდუალური „სწავლის სტილი“, „აკადემიური*

				პრობლემები“ და „ტესტირების გავლის სირთულე ან შფოთვა“ არ წარმოადგენს დასწავლის უნარის დარღვევას/დაქვეითებას.
5	ყურადღების დეფიციტის და ჰიპერაქტივობის სინდრომი (ADHD).	არაუმეტეს 3 წელი	კლინიკური ფსიქოლოგი ნეიროფსიქოლოგი ნევროლოგი ფსიქიატრი	მტკიცებულება მიმდინარე მდგომარეობის შესახებ - ნეიროფსიქოლოგიური ან ფსიქოსაგანმანათლებლო შეფასება, რომლითაც განისაზღვრება საგანმანათლებლო გარემოსთან დაკავშირებული მიმდინარე ფუნქციონალური შეზღუდვა; დანიშნული მედიკამენტები, დოზები და მიღების განრიგი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); რეკომენდაციები საჭირო აკომოდაციებზე.
6	აუტიზმის სპექტრის დარღვევა	არაუმეტეს 3 წელი	ნეიროფსიქოლოგი, კლინიკური ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, ნევროლოგი *შესაძლოა წარმოდგენილი იყოს დამატებითი ინფორმაცია ენისა და მეტყველების და/ან ქცევის თერაპევტისგან.*	სტანდარტიზებული ტესტი, სტანდარტული ქულის ჩათვლით; სიმპტომების გავლენა სწავლაზე; ფუნქციონირების უნარი სხვადასხვა საზოგადოებრივ გარემოში. დანიშნული მედიკამენტები, დოზები და მიღების გრაფიკი (ასეთი არსებობის შემთხვევაში) რომლებსაც გავლენის მოხდენა შეუძლია სასწავლო გარემოში ფუქნციონირებაზე.
7	ქრონიკული/მწვავე სამედიცინო მდგომარეობა/ ჯანმრთელობის პრობლემები	დამოკიდებულია მდგომარეობაზე (მდგომარეობა სტატიკურია თუ ცვალებადი)	ლიცენზირებული სამედიცინო სპეციალისტი/ ექიმი	დიაგნოზი. დოკუმენტაცია განსხვავდება იმის მიხედვით თუ რა დიაგნოზი/მდგომარეობა აქვს სტუდენტს.

8	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა	მიმდინარე დიაგნოზი 6 თვე, ფსიქოლოგიური შეფასება 3 წელი	ფსიქიატრი, კლინიკური ფსიქოლოგი	სამედიცინო ისტორია, მიმდინარე დიაგნოზი, რომელიც მიუთითებს მდგომარეობის ბუნებაზე, სიმპტომების სიხშირე, სიმძიმეზე, მიმდინარე სიმპტომების მკაფიო ჩამონათვალი, დანიშნული, მედიკამენტები, დოზები და მიღების გრაფიკი, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინონ სასწავლო გარემოში ფუნქციონირებაზე, ნებისმიერი შესაძლო გვერდითი ეფექტები; საჭირო აკომოდაციების ტიპები. ფსიქოლოგიური მდგომარეობის შეფასება ზრდასრულთათვის ქვეყანაში განსაზღვრული შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენებით.

დანართი N4 სტუდენტის მდგომარეობაზე დამატებითი ინფორმაციის მოპოვების ფორმა

აღნიშნული ფორმა შექმნილია სტუდენტობის კანდიდატის/სტუდენტის მდგომარეობის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად მისთვის შესაბამისი სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის/აკომოდაციების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. გთხოვთ, შეავსოთ ყველა ველი. თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძალიან მნიშვნელოვანია სტუდენტობის კანდიდატის/სტუდენტისთვის სათანადო მხარდაჭერის განსაზღვრისა და უზრუნველყოფისთვის.

<u>აღნიშნული ფორმა თქვენთან იგზავნება სტუდენტის ინფორმირებული თანხმობით.</u>

გთხოვთ, შევსებული ფორმა დაუბრუნოთ სტუდენტს ან პირდაპირ გამოგზავნოთ უნივერსიტეტის მისაწვდომობის მომსახურებაში შემდეგ ელ. ფოსტაზე:
შეკითხვების შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ შემდეგ ნომერზე:

სტუდენტობის კანდიდატის/სტუდენტის მონაცემები

სახელი და გვარი:		დაბადების თარიღი:	
პირადი ნომერი:		საკონტაქტო ინფორმაცია:	
სამედიცინო სფეროს სპეციალისტის მონაცემები			
სახელი და გვარი		ორგანიზაციის დასახელება და მისამართი:	
სამუშაოს დასახელება/ სტატუსი/პოზიცია			

ინფორმაცია სტუდენტობის კანდიდატის/სტუდენტის სამედიცინო ან სხვა მდგომარეობის შესახებ

მდგომარეობის ან შეზღუდული შესაძლებლობის ხანგრძლივობა და გავლენა	**მონიშნეთ შესაბამისი უჯრა**
თქვენი პროფესიული აზრით, აქვს თუ არა მდგომარეობას ან შეზღუდულ შესაძლებლობას ხანგრძლივი მნიშვნელოვანი უარყოფითი გავლენა პირის უნარზე განახორციელოს ჩვეული ყოველდღიური საქმიანობა, მათ შორის სწავლა? *შეზღუდული შესაძლებლობა შეიძლება მოიცავდეს ფსიქიკურ მდგომარეობას, ფიზიკურ და სენსორულ დარღვევას ან ჯანმრთელობის სხვა ქრონიკულ/მწვავე მდგომარეობას.*	☐დიახ ☐არა
მიიჩნევთ თუ არა, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას/არსებულ მდგომარეობას ხანგრძლივად (მყარად)? (ხანგრძლივად რომ ჩაითვალოს, ეფექტი უნდა გრძელდებოდეს ან სავარაუდოდ გაგრძელდება 12 თვე ან მეტი ან იყოს მთელი სიცოცხლის მანძილზე)	☐დიახ ☐არა
გთხოვთ, გვითხრათ სტუდენტის სამედიცინო ან ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის ან შეზღუდული შესაძლებლობის დიაგნოზის ან სხვა მდგომარეობის შესახებ. თუ დიაგნოზი ჯერ კიდევ არ არის დასმული, მისაღებია "სამუშაო დიაგნოზი". თუ პირს აქვს ერთზე მეტი შეზღუდული შესაძლებლობა/სხვა მდგომარეობა, გთხოვთ, დაასახელოთ ისინი. თუ თქვენ ვერ სვამთ დიაგნოზს ან „სამუშაო დიაგნოზს“, გვითხარით რატომ და მოგვაწოდეთ თქვენს ხელთ არსებული ინფორმაცია პირის მდგომარეობის/პრობლემების შესახებ.	
როდის დაესვა პირს ჯანმრთელობის ან სხვა მდგომარეობის პრობლემის ან შეზღუდული შესაძლებლობის დიაგნოზი?	

გთხოვთ, აღწეროთ პირის მდგომარეობის გავლენა მის ყოველდღიურ ფუნქციონირებაზე, მათ შორის დაურთოთ ინფორმაცია რეგულარული მედიკამენტების ან მკურნალობის შესახებ. გთხოვთ, მიუთითოთ მისი მდგომარეობის ნებისმიერი ასპექტი, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს სწავლაზე, როგორიცაა ცუდი კონცენტრაცია, წერისთვის ხელის მოქნილად გამოყენება ან ძლიერი სოციალური შფოთვა და სხვ.

სფეროს სპეციალისტის დეკლარაცია

გთხოვთ, ხელი მოაწეროთ და დაადასტუროთ, რომ თქვენს მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის ჭეშმარიტი და სრულყოფილი, რამდენადაც თქვენ იცით.	
გთხოვთ, ხელი მოაწეროთ (ელექტრონული ხელმოწერები მისაღებია)	
ფორმის შევსების თარიღი	

გმადლობთ თანამშრომლობისთვის და ინფორმაციის მოწოდებისთვის!

დანართი N5 ინფორმაცია სტუდენტისთვის განსაზღვრული მხარდაჭერის შესახებ

სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის შესახებ განაცხადის გაკეთება

ჩვენი უნივერსიტეტი[9] მოუწოდებს სტუდენტებს მიმართონ მისაწვდომობის ცენტრს და გააცნონ თავიანთი შეზღუდული შესაძლებლობის/მნიშვნელოვანი ჯანმრთელობის გართულებების/სწავლის სირთულის შესახებ სათანადო მხარდაჭერის მიღების მიზნით.

მისაწვდომობის ცენტრისთვის მიმართვა შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს - სწავლის დაწყებამდე და სწავლის პერიოდში, თუმცა, მნიშვნელოვანია, მომართვა განხორციელდეს რაც შეიძლება დროულად - სასწავლო სემესტრის დაწყებამდე ან დიაგნოზის დასმის/მდგომარეობის აღმოცენების ან სირთულის აღმოჩენიდან რაც შეიძლება მალე.

რატომ უნდა მიმართოს სტუდენტმა მისაწვდომობის ცენტრს?

მიმართვა და საკუთარი სირთულეების გამჟღავნება წახალისებულია, რათა მისაწვდომობის ცენტრმა შეძლოს იმუშაოს სტუდენტთან მისთვის გონივრული მისადაგების და საჭირო

[9] კონკრეტული უნივერსიტეტის დასახელება

მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. "გონივრული მისადაგება" შეიძლება იყოს ნებისმიერი ქმედება/აკომოდაცია, რაც არ არის ჩვენი უნივერსიტეტის ძირითადი პრაქტიკის ნაწილი და რომელიც ინდივიდუალურად განისაზღვრება სტუდენტისთვის მის მიერ არჩეულ კურსში/სასწავლო პროგრამაში და უნივერსიტეტის ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების თანაბარი შესაძლებლობების შესაქმნელად. მაგალითად, სპეციალური მხარდაჭერა შესაძლოა მოიცავდეს ფიზიკური გარემოს მორგებას, სასწავლო რესურსების მისაწვდომ ფორმატში მოწოდებას, პროფესორ-მასწავლებლებისთვის ინფორმაციის მიწოდებას სწავლის განსხვავებული მეთოდების შესახებ და სხვა საჭირო ღონისძიებებს, თუმცა, არ გულისხმობს სასწავლო პროგრამების და გამოცდების გამარტივებას.

გონივრული მისადაგების/აკომოდაციის ტიპი განისაზღვრება კონკრეტული სტუდენტის საჭიროებების შეფასების გზით, პრობლემის/მდგომარეობის ხასიათის, აკადემიურ და სოციალურ ჩართულობაზე მისი გავლენის, შესაბამისი მტკიცებულებების და კურსის/პროგრამის მოთხოვნების გათვალიწინებით.

სტუდენტის შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ ინფორმაცია და სტუდენტის დოკუმენტაცია კონფიდენციალურია და მისაწვდომობის ცენტრის მიერ გარანტირებულია მათი უსაფრთხოდ დაცვა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

მისაწვდომობის ცენტრი რეკომენდაციას უწევს სტუდენტებს მათთვის განსაზღვრული მხარდაჭერის შესახებ ინფორმაცია გაზიარებულ იქნას უნივერსიტეტის იმ აკადემიურ პერსონალთან, რომლებიც უშუალოდ არიან პასუხისმგებელნი სტუდენტისთვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფაზე. ასეთ შემთხვევებში, გაზიარებული ინფორმაცია მხოლოდ კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი იქნება. ამასთანავე, აკადემიურ პერსონალს შეუძლია დროდადრო დაუკავშირდეს მისაწვდომობის ცენტრს კონკრეტულ სტუდენტთან დაკავშირებული რჩევისა და გონივრული მისადაგების უზრუნველყოფისთვის. თუ აღნიშნული საჭიროება დადგება, მისაწვდომობის ცენტრის წარმომდგენელი ინფორმაციის გაზიარებამდე, თუ სტუდენტთან დაკავშირებული რეკომენდაციის მიცემამდე, დაუკავშირდება სტუდენტს, რათა მიიღოს შესაბამისი წერილობითი ნებართვა/თანხმობა ინფორმაციის გაზიარების თაობაზე.

მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენელი შესაძლოა ზოგჯერ დაუკავშირდეს ცენტრში რეგისტრირებულ სტუდენტებს, რათა აცნობოს მათ სპეციალურ მხარდაჭერასთან დაკავშირებული საკითხების, ტრენინგების, თემატური ღონისძიებების, კვლევაში მონაწილეობის და სხვა დაკავშირებული საკითხების შესახებ.

იმისათვის, რომ მისაწვდომობის ცენტრმა კოორდინაცია გაუწიოს მხარდაჭერას სტუდენტების სახელით, რომლებიც დარეგისტრირებულები არიან სპეციალური მხარდაჭერის მიღებაზე, აუცილებელია, თავად მომსახურების მიმღები სტუდენტების წერილობითი თანხმობა. ასევე, მომსახურების მიმღები სტუდენტის წერილობითი თანხმობაა

საჭირო, როდესაც უნივერსიტეტის მისაწვდომობის ცენტრს უწევს სტუდენტის მხარდასაჭერად კონკრეტულ გარე მხარეებთან მიმართვა (მაგ., პროვაიდერი კომპანია, რომელიც უნივერსიტეტთან ხელშეკრულების საფუძვლად პასუხისმგებელია გარკვეული ტიპის მისაწვდომობის უზრუნველყოფაზე).

სტუდენტის მონაცემები ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას სტატისტიკური დამუშავებისა და მონიტორინგის მიზნებისთვის, თუმცა, სტუდენტების პერსონალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე.

სტუდენტის პერსონალური ინფორმაცია

სტუდენტის უფლებები: ნებისმიერ დროს, სტუდენტს შეუძლია მისაწვდომობის ცენტრისგან მოითხოვოს შეზღუდვები მისი მონაცემების დამუშავების ან გაზიარების შესახებ. თუმცა, მნიშვნელოვანია სტუდენტმა იცოდეს, რომ ასეთმა შეზღუდვებმა შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს მისი მხარდაჭერის დონეზე ან გასაწევ გონივრულ მისადაგებაზე, რომელიც უნივერსიტეტს შეუძლია სტუდენტს შესთავაზოს. თუ სტუდენტს რაიმე წუხილები აქვს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ან სურს განიხილოს ინფორმაციის გაზიარების ან გაუმჟღავნებლობის შედეგები, რეკომენდებულია ის გაესაუბროს მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენელს.

სხვა სტუდენტები: უნივერსიტეტი არ გაუმჟღავნებს მხარდაჭერის საჭიროების მქონე სტუდენტის დეტალებს სხვა სტუდენტებს; თუ სტუდენტს თავად სურს, რომ სხვებს აცნობოს საკუთარი საჭიროებების ან მისთვის გაწეული/გასაწევი მხარდაჭერის შესახებ, ეს მისი არჩევანია.

მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები: სტუდენტის მხარდაჭერის მოთხოვნები/შეთანხმებები არ იქნება გაზიარებული ან განხილული მშობლებთან/მეურვეებთან თავად სტუდენტის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. მშობლებს არ შეუძლიათ იმოქმედონ ან მოითხოვონ ცვლილებები სტუდენტის სახელით სტუდენტის თანხმობის გარეშე. მისაწვდომობის ცენტრის მომსახურებაში ჩართვა თავად სტუდენტის არჩევანი და პასუხისმგებლობაა.

აკადემიური ჩანაწერი: სწავლის შედეგები და აკადემიური ჩანაწერები არ შეიცავს სტუდენტის საჭიროების/სირთულეების ან მიღებული გონივრული მისადაგების შესახებ რაიმე დეტალებს.

დამსაქმებლები: მისაწვდომობის ცენტრი არ გააზიარებს ინფორმაციას სტუდენტის შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შესახებ მიმდინარე ან მომავალ დამსაქმებლებთან.

გამჟღავნება გამონაკლის შემთხვევებში: უნივერსიტეტს შეზღუდულ და გამონაკლის შემთხვევებში/გარემოებებში შეუძლია სტუდენტის მდგომარეობის/საჭიროებების შესახებ გარკვეული მონაცემების მესამე პირებთან გაზიარება თავად სტუდენტის თანხმობით (მაგ.

სხვა უნივერსიტეტში მობილობისას) ან სტუდენტის ნებართვის გარეშე, როდესაც ეს აუცილებელია მონაცემთა სუბიექტის ან მესამე პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად, აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოებისა და თავდაცვის მიზნებისთვის, რაც გათვალისწინებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ კანონით.

უკუკავშირი/წუხილები/საჩივრები

მისაწვდომობის ცენტრი ღიაა ნებისმიერი შემოთავაზებისთვის, უკუკავშირისთვის და შეკითხვებისთვის, რომელიც სტუდენტს აქვს ცენტრის მომსახურებასთან დაკავშირებით. მისაწვდომობის ცენტრთან დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე: ...@.... და მობ./ტელეფონზე ...

მისაწვდომობის ცენტრი ორიენტირებულია ნებისმიერი წამოჭრილი პრობლემა და სტუდენტის უკმაყოფილება გადაჭრას სტუდენტთან თანამშრომლობით. თუმცა, ნებისმიერ მომენტში სტუდენტს შეუძლია აირჩიოს უნივერსიტეტის სტუდენტების საჩივრების ფორმალური პროცედურა საკუთარი უკმაყოფილების გამოსახატავად.

სტუდენტის ინფორმირებული წერილობითი თანხმობა

(ქვემოთ მოცემული თანხმობა წარმოადგენს ნიმუშს, რომელიც, საჭიროებიდან გამომდინარე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ უნდა დაკორექტირდეს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად)

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ სტუდენტის თანხმობა არ არის წარმოდგენილი წერილობით, შესაძლოა, ვერ მოხდეს მისთვის საჭირო/რეკომენდირებული იმ მხარდაჭერის/მომსახურების გაწევა, რომელიც აუცილებლობით მოითხოვს სტუდენტის შესახებ გარკვეული ინფორმაციის გაზიარებას შესაბამისი პირების/მხარეებისთვის.

უნივერსიტეტის[10] მომსახურებისგან მისაწვდომობის ცენტრისგან ვითხოვ გონივრულ მისადაგებას. მე მესმის, რომ მისაწვდომობის ცენტრი პასუხისმგებელია, რომ ჩემი პერსონალური მონაცემები გამოყენებული იქნება მხოლოდ შეთანხმებული და საჭირო გონივრული მისადაგების/ მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად.

თანახმა ვარ მისაწვდომობის ცენტრმა, საჭიროებისამებრ, დაამუშაოს და გამოიყენოს ჩემი პერსონალური ინფორმაცია შეზღუდულ შესაძლებლობასთან/სპეციალურ საგანმანათლებლო საჭიროებასთან დაკავშირებული გონივრული მისადაგების უზრუნველსაყოფად.[11]

[10] კონკრეტული უნივერსიტეტის დასახელება

ასევე მესმის, რომ ჩემს მიერ მოთხოვნილი მხარდაჭერა დაკმაყოფილდება მხოლოდ ჩემი საჭიროებების შეფასება-გაანალიზების და უნივერსიტეტის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ.

☐წავიკითხე და გავიაზრე ზემოაღნიშნული ინფორმაცია და ვადასტურებ, რომ ჩემი პერსონალური ინფორმაციის დეტალები (მაგ. სახელი/გვარი, პირადი ნომერი, შეზღუდული შესაძლებლობის ტიპი, აკადემიური და სხვა ტიპის მხარდაჭერის ზომები) საჭიროებისამებრ, გაზიარებულ იქნას მისაწვდომობის ცენტრის მიერ უნივერსიტეტის შესაბამის დეპარტამენტებთან/პერსონალთან და გარე ჩართულ მხარეებთან (კონკრეტული მომსახურების პროვაიდერებთან) ჩემთვის გონივრული მისადაგების უზრუნველყოფის მიზნით.

დანართი N6 მხარდაჭერის გეგმის ფორმა

<table>
<tr><th colspan="3">სტუდენტის მხარდაჭერის გეგმა</th></tr>
<tr><td colspan="3">ზოგადი ინფორმაცია:</td></tr>
<tr><td colspan="2">უნივერსიტეტის დასახელება:</td><td>საკონტაქტო ინფორმაცია:</td></tr>
<tr><td colspan="2">მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენელი (გეგმის შედგენაზე პასუხისმგებელი პირი):</td><td>საკონტაქტო ინფორმაცია:
ელ. ფოსტა:
მობ.:</td></tr>
<tr><td colspan="2">სტუდენტის მხარდაჭერის გეგმის შედგენის თარიღი:</td><td>მხარდაჭერის გეგმის მოქმედების ხანგძლივობა / გადახედვის პერიოდი:</td></tr>
<tr><td colspan="3">ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:</td></tr>
<tr><td>სტუდენტის სახელი, გვარი:</td><td>დაბადების თარიღი:</td><td>პირადი ნომერი:</td></tr>
<tr><td>მისამართი:</td><td>ელ. ფოსტა:</td><td>მობ. ნომერი:</td></tr>
</table>

უმაღლესი განათლების საფეხური, რომელზეც სტუდენტი ირიცხება: ☐ბაკალავრიატი ☐მაგისტრატურა ☐დოქტორანტურა ☐სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ):	უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:	სასწავლო პერიოდი:
სტუდენტის დიაგნოზი/ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია:		
სტუდენტის განათლებასთან დაკავშირებული საჭიროებების მოკლე შეჯამება:		
საჭირო სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერა/აკომოდაციები (მონიშნეთ ყველა ის აკომოდაცია/მხარდაჭერა, რომელსაც სტუდენტი საჭიროებს): ☐სწავლის მეთოდოლოგიის/სწავლის პროცესის მორგება ☐გამოცდის/ტესტირების მორგება ☐სასწავლო მასალის/რესურსების მორგება ☐ადამიანური რესურსი (დამხმარე პერსონალი) ☐ფიზიკური გარემოს მორგება ☐დამხმარე საშუალებები/აღჭურვილობა ☐სხვა (გთხოვთ, მიუთითოთ) ---------- -		
სტუდენტისთვის საჭირო აკომოდაციები/სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურება:		
აკომოდაცია/მხარდაჭერა	უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი/მხარე:	უზრუნველყოფის პერიოდი:
საჭიროება, რომელიც სტუდენტს აქვს, თუმცა, რომლის დაკმაყოფილებაც ვერ ხდება (მიზეზის მითითებით, თუ რატომ ვერ მოხდა/ვერ ხდება დაკმაყოფილება):		

<table>
<tr><td colspan="2">სხვა დამატებითი ინფორმაცია:</td></tr>
<tr><td colspan="2">სტუდენტის განაცხადი:
მე ვაძლევ უფლებას უნივერსიტეტს გაუზიაროს ჩემი მხარდაჭერის გეგმა ფაკულტეტს, უნივერსიტეტის იმ პერსონალსა და სხვა პირებს, რომლებსაც უნივერსიტეტი გონივრულად მიიჩნევს ჩემთვის აკომოდაციის/მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნებისთვის.
☐დიახ
☐არა</td></tr>
<tr><td>სტუდენტის ხელმოწერა:</td><td>მისაწვდომობის ცენტრის წარმომადგენლის ხელმოწერა:</td></tr>
</table>

მეორე ნაწილი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მისაწვდომობის მომსახურების ერთეულის ფორმირება

შესავალი

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დაფუძნების მიზანია შეზღუდული შესაძლებლობით და სხვა მდგომარეობებით განპირობებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პოტენციური სტუდენტებისთვის/სტუდენტებისთვის საუნივერსიტეტო განათლებაზე მისაწვდომობის გაზრდა.

აღნიშნული მიზნის რეალიზებისთვის, მნიშვნელოვანია, ქვეყანაში განისაზღვროს უმაღლეს განათლებაში მისაწვდომობის პრინციპებისა და პრაქტიკის უნივერსიტეტის ინსტიტუციურ დონეზე დანერგვის ერთიანი ჩარჩო, რომლის ფარგლებში, ცალკეულ უნივერსიტეტს შემუშავებული ექნება მისთვის ყველაზე რელევანტური სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერით სტუდენტთა უზრუნველყოფის შიდა პროცედურა.

იმის გათვალისწინებით, რომ მისაწვდომობის სერვისების წარმატებით დანერგვა, განხორციელება და უწყვეტი განვითარება, მრავალ ფაქტორს მოიცავს და საკმაოდ კომპლექსური პროცესია, ის მოითხოვს მთლიანი საუნივერსიტეტო საზოგადოების ჩართულობას და აღნიშნული მომსახურების სრულ ინტეგრაციას უნივერსიტეტის შიდა პოლიტიკასა და პრაქტიკასთან.

სამეცნიერო ლიტერატურა, საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მისაწვდომობის მომსახურების/ერთეულის დაფუძნების შემდეგი ძირითად საფეხურებს/ეტაპებს გვთავაზობს:

1. უნივერსიტეტის მისაწვდომობის შეფასება (საჭიროებებისა და რესურსების ანალიზი);
2. ინკლუზიურობისა და მისაწვდომობის უზრუნველყოფის ხედვის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
3. მისაწვდომობის მომსახურებების კატალოგის შემუშავება;
4. მისაწვდომობის მომსახურების ერთეულის სტრუქტურის და შემადგენლობის განსაზღვრა, პერსონალის დაკომპლექტება;
5. თემატური სამუშაო ჯგუფების/ქვეკომიტეტების ფორმირება;
6. უნივერსიტეტის საზოგადოების მომზადება;
7. მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების შიდა სისტემის შემუშავება;

მისაწვდომობის ანალიზი

ჩვეულებრივ, შეზღუდული შესაძლებლობით და სხვა მდგომარეობებით განპირობებული სწავლის სირთულეების მქონე სტუდენტების წინაშე არსებული ბარიერები შეიძლება დაიყოს ისეთ კატეგორიებად, როგორიცაა:

- **ინფრასტრუქტურული ბარიერები -** შენობის შიდა სივრცეების და შენობამდე მისაღწევი, მათ შორის ტრანსპორტთან დაკავშირებული;
- **ინფორმაციის მიღებისა და კომუნიკაციის ბარიერები** - სტუდენტების ელექტრონული სივრცეების/პლატფორმების, ვებგვერდის, ელექტრონული რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული;
- **სწავლა-სწავლების ბარიერები** - აკადემიურ პროცესთან (სწავლების მეთოდები, შეფასება, სასწავლო მასალა და სხვ.) და ექსტრაკურიკულურ აქტივობებში მონაწილეობასთან დაკავშირებული;
- **გაცნობიერებისა და ინფორმირებულობის ბარიერები -** განსხვავებული საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებების, მათთან კომუნიკაციის არხებისა და ფორმების შესახებ პერსონალის, სტუდენტების ინფორმირებულობასთან დაკავშირებული;
- **ინსტიტუციური მართვის ბარიერები -** სტუდენტის საჭიროების იდენტიფიცირებისა და მომსახურების დროულ უზრუნველყოფასთან, ფაკულტეტებს, ადმინისტრაციულ პერსონალსა და სტუდენტებს შორის ეფექტურ კომუნიკაციასთან დაკავშირებული;

მიუხედავად იმისა, რომ ცნობილია ის ძირითადი ბარიერები, რომელთა წინაშეც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები საუნივერსიტეტო განათლებისას დგანან, მისაწვდომობის გასაზრდელად აუცილებელია, უნივერსიტეტმა თითოეულ ასპექტთან მიმართებით გაანალიზოს მისთვის სპეციფიკური ბარიერები და რესურსები. მაგალითისთვის, საქართველოს უნივერსიტეტები განსხვავდება ერთმანეთისგან სტუდენტთა საერთო რაოდენობით, შენობებით, გეოგრაფიული მდებარეობით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხელმისაწვდომობით, ბიუჯეტით, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა სერვისებით, ტექნოლოგიური რესურსით, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის შექმნილი საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმით, უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროფილით/ფაკულტეტებით და სხვა. აღნიშნული განსხვავებები, შესაძლოა ბარიერს ან პირიქით, რესურს წარმოადგენდეს უნივერსიტეტში მისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. მაგალითად, როდესაც უნივერსიტეტს რამდენიმე შენობა აქვს, ან/და ძველ შენობა-ნაგებობაშია განთავსებული, მისთვის უფრო რთულია ფიზიკური გარემოს ადაპტირება, ვიდრე იმ უნივერსიტეტისთვის, რომელიც, ერთ თანამედროვე შენობაშია განთავსებული. თუ უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ფაკულტეტები, რომლებსაც აქვთ ფსიქოლოგიის, ოკუპაციური თერაპიის, სპეციალური განთლების, ინკლუზიურ განათლებასთან დაკავშირებული პროგრამები, მან აღნიშნული ფაკულტეტის პერსონალისა და სტუდენტების რესურსი შესაძლოა ეფექტურად გამოიყენოს სტუდენტების მხარდამჭერი სერვისის უზრუნველყოფის, უნივერსიტეტის პერსონალის გადამზადების და უნივერსიტეტის საზოგადოების ცნობიერების გაზრდის პროცესში, რისი წარმატებული გამოცდილებაც, სხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში არსებობს.

ბარიერებისა და რესურსების შეფასება:

N	**ასპექტი**	**ბარიერები**	**რესურსები**	**დაზუსტება/კომენტარი**
1	ინფრასტრუქტურა (უნივერსიტეტი, სტუდენტური საცხოვრისი)			
2	ინფორმაციის გაცვლა/კომუნიკაცია			
3	სასწავლო პროცესი			
4	სასწავლო რესურსი			
5	ექსტრაკურიკულური აქტივობები			
6	ინფორმირებულობა და დამოკიდებულებები			
7	ინსტიტუციური მართვა			

საჭიროებების ანალიზისას, სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის გათვალისწინებაა მნიშვნელოვანი. მაგალითად, გადაადგილების პრობლემის მქონე/ეტლით მოსარგებლე სტუდენტთან მიმართებით, უნდა გაანალიზდეს გზა, რომელსაც სტუდენტი სახლიდან აუდიტორიამდე გადის. თუ სტუდენტი მანქანით მოძრაობს, რამდენად არის შესაბამისად მოწყობილი უნივერსიტეტის პარკინგი, არის თუ არა შენობის შესასვლელში სტანდარტების პანდუსი, არის თუ არა კარებების ღიობები მორგებული ეტლით გადაადგილებაზე, შესაძლებელია თუ არა ეტლით თავისუფლად გადაადგილება კორიდორში, შესაძლებელია თუ არა სართულებს შორის გადაადგილება, არის თუ არა ლიფტი, არის თუ არა აუდიტორიაში საკმარისი სივრცე გადაადგილებისთვის და შესაძლებელია თუ არა მაგიდასთან/მერხთან ეტლით განთავსება, ადაპტირებულია თუ არა სველი წერტილები, შესაძლებელია თუ არა ეტლით სასადილოს ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის ნაწილში მისვლა და მომსახურების მიღება და ა.შ.

მაგალითისთვის, აუდიტორიის შეფასებისას შემდეგი ასპექტები უნდა იყოს გათვალისწინებული:

ასპექტი	სტანდარტის შესაბამისი გარემო	დიახ	არა
შესასვლელი კარი	არის შესასვლელი კარის ღიობი იმხელა, რომ ეტლით მოსარგებლე პირმა თავისუფლად შეძლოს შესვლა?		
სინათლის ასანთები	არის ოთახში სინათლის ასანთები ისე დამონტაჟებული, რომ ეტლით მოსარგებლე პირმა შეძლოს ოთახში შესვლისთანავე სინათლის ანთება?		
მოძრავი ავეჯი	არის აუდიტორიის მაგიდები და სკამები მოძრავი?		
მოძრაობისთვის საკმარისი სივრცე	არის მაგიდებს შორის მანძილი 1 მეტრი და 20 სანტიმეტრი?		
წინა სივრცე	არის მაგიდასა და დაფას შორის მინიმუმ 1 მეტრი და 20 სანტიმეტრი?		
მაგიდის სიმაღლე	არის მაგიდის სიმაღლე 74 დან 80 სანტიმეტრამდე?		
მაგიდის სიღრმე	არის მაგიდის ქვეშ სიღრმე 70 სანტიმეტრი?		
დაფის ფერი	დაფა შავი ფერის არის თუ მწვანე?		
კონტრასტული ფერები	აქვს დაფას კონტრასტული ფერები?		
დაფის დაკიდების სიმაღლე	კიდია დაფა ძირიდან მინიმუმ 50 სანტიმეტრზე?		
აკუსტიკა	არის ოთახში კარგი აკუსტიკა? (ბგერის რევერბერაციის დრო, ფონური ხმაურის დონე და სხვ.)		
განათება	არის ოთახში კარგი განათება?		





მნიშვნელოვანია, ასევე სხვადასხვა საჭიროების მქონე მომხმარებლისთვის უნივერსიტეტის ვებგვერდის მისაწვდომობის შეფასებაც. აღნიშნული მიზნით, სხვადასხვა პროგრამები და პლატფორმებია შემუშავებული, რომელთა გამოყენებაც შეუძლია უნივერსიტეტს (მაგ.,https://wave.webaim.org/). ასევე, არსებობს მაიკროსოფტის გზამკვლევები მისაწვდომობის შესაფასებლად, რომლითაც უნივერსიტეტებს შეუძლიათ ისარგებლონ.

მისაწვდომობასთან დაკავშირებული ბარიერებისა და რესურსების შეფასების პროცესში, უნივერსიტეტებს შეუძლიათ ისარგებლონ სფეროს ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის დახმარებით, რომელიც სხვადასხვა ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის/საგანმანათლებლო საჭიროების გათვალისწინებით, უნივერსიტეტში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირებაში და რეაგირების გზების განსაზღვრაში მიიღებს მონაწილეობას.

უნივერსიტეტის ხედვის ფორმირება

უნივერსიტეტს შემუშავებული უნდა ჰქონდეს პოტენციური სტუდენტების/სტუდენტების სპეციალური საგანმანათლებლო მხარდაჭერის მისია და უახლოეს რამდენიმე წელზე განსაზღვრული სამოქმედო გეგმა. აუცილებელია, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა/ხელმძღვანელობამ ლიდერის როლი შეასრულონ უნივერსიტეტში ინკლუზიური პრაქტიკის განვითრების და სტუდენტების განათლების მხარდამჭერი მომსახურებების დამკვიდრების საქმეში.
ხელმძღვანელობამ სხვა თანამშრომლების აქტიური ჩართულობით, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტის მისაწვდომობის შიდა პოლიტიკა და პროცედურა, რომელიც არამარტო კანონით გათვალისწინებულ მინიმუმს უპასუხებს, არამედ, მაქსიმალურად განავითარებს აღნიშნულ მიმართულებას. უნივერსიტეტების ფოკუსში უნდა მოექცეს:

- უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული საგამოცდო პროცესის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აბიტურიენტებისთვის, მაგისტრობის და დოქტორანტურის კანდიდატებისთვის სხვადასხვა ტიპის გონივრული მისადაგებისა და აკომოდაციების გზით;

- სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის მისაწვდომობა სხვადასხვა სერვისის მიწოდების, გონივრული მისადაგებისა და აკომოდაციების გზით;
- ციფრული სივრცეების, ვირტუალური ინფორმაციის, ელექტრონული საკომუნიკაციო პლატფორმების და სასწავლო რესურსის მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის;
- უნივერსიტეტის ფიზიკური სივრცეების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;
- უნივერსიტეტის საერთო სტუდენტური სერვისების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, მათ შორის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების ხელშეწყობის სერვისი;
- პოტენციური სტუდენტების/სტუდენტების მისაწვდომობის მომსახურების შესახებ ინფორმირების და მომსახურების უზრუნველყოფის ტექნიკურად და მატერიალურად გამართული პროცედურები;
- ინფორმაცია, ტრენინგები, კონსულტაცია/რჩევები და სხვა საჭირო მხარდაჭერა საუნივერსიტეტო საზოგადოებისთვის, მათ შორის, თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის;
- ეფექტური თანამშრომლობა და კოორდინაცია უნივერსიტეტის სხვადასხვა ინსტიტუციურ დონეზე; ასევე, გარე ორგანიზაციებთან და სუბიექტებთან, სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების გაუმჯობესებისა და ხარისხის გაზრდის მიზნით.

მისაწვდომობის კატალოგის შექმნა

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნივერსალური დიზაინის პრინციპით საგანმანათლებლო გარემოს შექმნა მოითხოვს როგორც მაკრო, ისე მიკრო დონეზე უნივერსიტეტის ჩარევას. დაგეგმვის დროს ადმინისტრაციას კარგად უნდა ჰქონდეს გააზრებული თუ რა მიზანს ემსახურება და ვის საჭიროებას უნდა მოარგოს მაგალითად უნივერსიტეტის ვებ გვერდი, სილაბუსი, ავეჯი, საგანმანათლებლო გარემო, აუდიტორია, ბიბლიოთეკა, ონლაინ სწავლება და სხვა. ყველა სტუდენტისთვის თანაბრად მისაწვდომობა არის პრიორიტეტი, თუ გარემო იცვლება, ან სერვისი და რესურსები იქმნება კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობისთვის (მაგ., მხოლოდ მხედველობის პრობლემის ან სმენის ან გადაადგილების პრობლემის მქონე სტუდენტებისთვის). ასევე, გასათვალისწინებელია, რომ უნივერსიტეტებში არიან სტუდენტები, რომლებსაც არ სურთ საკუთარ გამოწვევებზე ხმამაღლა საუბარი, თუმცა, თუ საგანმანათლებლო კონტექსტი უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით მოეწყობა, აღნიშნული ცვლილება ამ სტუდენტის განათლების ხარისხზეც დადებითად აისახება.

მისაწვდომობის დიზაინის შემუშავების საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანია, დამხმარე სერვისების ე.წ. კატალოგის შექმნა, რომელიც შესაბამისობაში იქნება მისაწვდომობის ინსტიტუციურ მიზნებთან. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს სხვადასხვა სახის დამხმარე სერვისი, რომელიც საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად შეთავაზებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, აღნიშნული სერვისების ინტეგრაცია კონკრეტული უნივერსიტეტის პრაქტიკაში, საწყის ეტაპზე, დიდწილად დამოკიდებული იქნება ცალკეული უნივერსიტეტის რესურსებზე. მისაწვოდმობის კატალოგი შეიძლება მოიცავდეს სწავლის, შეფასების პროცესის და სასწავლო მასალის მორგებას, სტუდენტის უზრუნველყოფას ტრანსპორტირებით, პერსონალური ასისტენტით, სხვადასხვა დამხმარე საშუალებებით, სტუდენტებთან საკომუნიკაციო ელექტრონული პლატფორმის მისაწვდომობის გაზრდას და სხვა ხელშეწყობებს.

მომსახურებების კატალოგის მომზადებისას, უნივერსიტეტმა უნდა განსაზღვროს, თუ რომელი მომსახურება იქნება მეტად დაკავშირებული დამატებით ხარჯებთან, რა ტიპის გარე მომსახურების შესყიდვა დასჭირდება, რომელი მომსახურებები დაეფუძნება უნივერსიტეტის შიდა რესურსებს (მაგალითად, სტუდენტების მოხალისეებად ჩართვის ან/და დაქირავების, კონკრეტული ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებლების ექსპერტიზის გამოყენების სისტემა), რაც როგორც აღინიშნა საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა. უნივერსიტეტებს შეუძლიათ გადაამზადონ და პროფესიულად გააძლიერონ თავიანთი ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები ციფრული სივრცეების ადაპტირების საკითხებში, რომლებიც შემდგომ უზრუნველყოფენ უნივერსიტეტის ვებ გვერდის და სასწავლო-საკომუნიკაციო პლატფორმის უნივერსალური დიზაინის პრინციპების თანახმად მისაწვდომობის გაზრდას და პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების ინსტრუქტაჟს აღნიშნული პლატფორმის გამოყენებაში. უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული კატალოგი, შემდეგ მომსახურებებს შეიძლება ითვალისწინებდეს:

- სწავლის პროცესის აკომოდაცია (მაგ. მოქნილი სწავლების მეთოდები; დამატებითი დრო კურსების დასასრულებლად; და სხვ.);
- სასწავლო მასალის მორგება (მაგ. ლექციის აუდიო/ვიდეო ჩანაწერის გაკეთება, ბრაილისა და სხვა ხელმისაწვდომ ფორმატებში შეთავაზება, ხმოვანი წიგნების მომზადება და სხვ.)
- გამოცდებთან დაკავშირებული აკომოდაციები (დამატებითი დრო, გამოკითხვის ფორმატის მორგება, ტესტის დასაწერად სპეციალური სივრცის გამოყოფა და სხვა).
- დამხმარე ტექნოლოგიები, ელექტრონული პროგრამები (მაგ., ლექსიკონი ან გრამატიკული შეცდომების ავტო-კორექტორი ე.წ. spell check);
- ადამიანის/სპეციალისტის მიერ გაწეული დახმარება (მაგ. ასისტენტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი, ჩანაწერების მწარმოებელი, წამკითხველი გამოცდებისთვის და სხვ.);

- ფიზიკური გარემოს ადაპტირება (პანდუსი/ები, სველი წერტილი, ხელმისაწვდომი პარკინგი, აუდიტორიის განათების, აკუსტიკური პირობების მორგება, გამღიზიანებლების შემცირება და სხვ);
- ადაპტირებული სტუდენტური ელექტრონული პლატფორმა და უნივერსიტეტის ვებგვერდი, რომელზეც უნივერსიტეტის მისაწვდომობის მომსახურებასთან დაკავშირებული ინფორმაცია იქნება განთავსებული;
- დამხმარე ავეჯი და სპეციალური აღჭურვილობა (აუდიო ჩამწერი, ვიდეო კამერა, ბრაილერი, გამადიდებელი ეკრანი და სხვ.);
- რჩევა, საკონსულტაციო, თერაპიული მომსახურება (მაგ. ფსიქოლოგის);
- ტრანსპორტირება უნივერსიტეტამდე და უნივერსიტეტიდან;
- მომსახურების და ემოციური მხარდაჭერის ცხოველებით უზრუნველყოფა (Service and Emotional Support Animals)
- აუდიტორიების ან/და საგანმანათლებლო პროგრამების გადანაცვლება სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით;
- სპეციალური სივრცე სამედიცინო თუ სხვა საჭიროებების დასაკმაყოფილებლად;
- დისტანციური ან ჰიბრიდული სწავლება (ასეთი საჭიროების შემთხვევაში);
- სხვა შესაძლო აკომოდაცია/მხარდაჭერა/სპეციალური პირობები, რომელიც წინამდებარე ჩამონათვალში არ არის მოყვანილი.

მისაწვდომობის ცენტრის შიდა სტრუქტურა და შემადგენლობა

უნივერსიტეტებში მისაწვდომობის მომსახურების ოპერირების ყველაზე გავრცელებული ფორმაა აღნიშნული ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეულის შექმნა - ცენტრის, ოფისის ან განყოფილების სახით (თუმცა, მისი ოპერირება სხვა სახითაც არის შესაძლებელი, მაგ. უნივერსიტეტის ორი ან მეტი სტრუქტურული ერთეულის მიერ საერთო ღონისძიებების განხორციელებით).

როგორც გზამკვლევის პირველ ნაწილში იყო განხილული, სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებში სტუდენტების განათლების მხარდაჭერისთვის შექმნილი სპეცილური მომსახურება განსახვავებული დასახელებით ოპერირებს (მაგ. ხელმისაწვდომობის სერვისი/ცენტრი/განყოფილება/ოფისი, საკონსულტაციო სამსახური, დამხმარე სერვისი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების სერვისი და სხვა). ამრიგად, არ არსებობს აღნიშნული ტიპის მომსახურების უნივერსალური დასახელება. მიზანშეწონილია, რომ საქართველოში სტუდენტების სპეციალური საგანმანთლებლო მომსახურებისთვის საერთო სახელწოდება შეთანხმდეს, რათა მომხმარებლისთვის აღნიშნული სერვისი თავისი შინაარსით იყოს ნათელი და კონკრეტულ მომსახურებასთან ასოცირდებოდეს. ამასთანავე, აუცილებელია, ისეთი დასახელების შერჩევა, რომელიც არ განაპირობებს მომავალში

აღნიშნული მომსახურების სტიგმატიზაციას და არ გახდება მომსახურებისადმი მიმართვის შემაფერხებელი ფაქტორი. წინამდებარე დოკუმენტში „მისაწვდომობის ცენტრი“ სამუშაო დასახელებად არის გამოყენებული, რომელიც საქართველოს კონტექსტში დამკვიდრებულ ტერმინს არ წარმოადგენს, თუმცა, სამომავლოდ ერთ-ერთ მისაღებ დასახელებად შეიძლება განიხილებოდეს.

იმისათვის, რომ მისაწვდომობის ცენტრს გაუადვილდეს მომსახურების გაწევა, ის სტრატეგიულად უნდა იყოს ჩართული უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურაში და უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურასთან ჰქონდეს კავშირი (ყველა ფაკულტეტი, სტუდენტური სერვისები, ადმინისტრაცია). ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი გავრცელებული სტრუქტურული მოწყობაა, როდესაც მისაწვდომობის ცენტრი/ოფისი პირდაპირ უნივერსიტეტის რექტორის/პრორექტორის დაქვემდებარებაშია. ამასთანავე, მნიშვნელოვანია, რომ მისაწვდომობის ცენტრი უფლებამოსილი იყოს შეასრულოს მულტიდისციპლინური სამუშაო, რომელშიც შეიძლება ჩაერთოს სხვადასხვა ფაკულტეტის წარმომადგენლები (პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები), ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიის სფეროს ექსპერტები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები (მრჩეველებად ან/და მოხალისეებად), უნივერსიტეტის სხვა პერსონალი და გარე სახელმწიფო ან კერძო ორგანიზაციები (მრჩეველებად და/ან მოხალისეებად), რომელთაც ინკლუზიის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა მხარდაჭერის საკითხებში შესაბამისი გამოცდილება და ექსპერტიზა გააჩნიათ.

მისაწვდომობის ცენტრის თანამშრომლების რაოდენობა, სტრუქტურა და საქმიანობის განაწილება დიდწილად არის დამოკიდებული, როგორც ქვეყნის, ასევე, კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რესურსებსა და სხვა თავისებურებებზე.

მისაწვდომობის ცენტრის შემადგენლობის ფორმირების რამდენიმე შესაძლებლობა არსებობს, რომელთაგანაც, ცალკეულმა უნივერსიტეტმა მისთვის ყველაზე რელევანტური უნდა შეარჩიოს.

1.

უნივერსიტეტს შეიძლება მუდმივ თანამშრომლად დაქირავებული ჰყავდეს ინკლუზიურ/სპეციალურ განათლებაში შესაბამისი კომპეტენციების მქონე პირი, რომელსაც ეცოდინება უნივერსალური დიზაინის და გონივრული მისადაგების პრინციპები, სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობით და სხვა მდგომარეობებით განპირობებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები და მათზე რეაგირების გზები. აღნიშნული თანამშრომელი პასუხისმგებელი იქნება, როგორც უნივერსიტეტში ინკლუზიური პოლიტიკისა და პრაქტიკის განვითარებაზე, ასევე, ცალკეული სტუდენტის შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების უზრუნველყოფისთვის საჭირო პროცედურების განხორციელებასა და სტუდენტისთვის საჭირო სპეციალისტების მოძიება-მოწვევაზე, რომლებიც, შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე განახორციელებენ თავიანთ მომსახურებას (მაგ.,

პერსონალური ასისტირება, ჟესტურ ენაზე თარგმნა, მობილობისა და ორიენტაციის ტრენინგი, ტექსტის წაკითხვა და ჩანაწერების/კონსპექტების მომზადება და სხვა).

2.

განსხვავებული მოდელი შეიძლება იყოს, უნივერსიტეტის მიერ მისაწვდომობის ცენტრში კოორდინატორის ფუნქციის შემსრულებელი პირის დასაქმება, რომელსაც შესაძლოა არ ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია შეზღუდული შესაძლებლობის და სპეციალური განათლების საკითხებში, თუმცა, ადმინისტრირებასა და მართვაზე იყოს პასუხისმგებელი. ამავდროულად, ცენტრს შესაძლოა შექმნილი ჰქონდეს სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მცირე ჯგუფი, რომელის წევრებსაც ექსპერტიზა გააჩნიათ სხვადასხვა მიმართულებით (მაგ.; მხედველობის დარღვევის, დასწავლის უნარის დაქვეითების, ფიზიკური/მოტორული უნარის შეზღუდვის) და იზრუნებენ უნივერსიტეტში მისაწვდომობის გაზრდაზე განსხვავებული საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის. აღნიშნულმა ჯგუფმა თავად შეიძლება გაწიოს კონსულტაცია სხვადასხვა სირთულის შემთხვევაში სტუდენტისთვის სწავლისა თუ შეფასების პროცესის მორგებაზე, ატაროს საინფორმაციო თუ კომპეტენციების ასამაღლებელი ტრენინგები, იზრუნოს ცალკეული მიმართულებით პრაქტიკის გაუმჯობესებაზე და სხვა. აღნიშნული ჯგუფის არსებობის მიუხედავად, კონკრეტული სტუდენტის შემთხვევაში, შესაძლოა საჭირო გახდეს დამატებითი ადამიანური რესურსი/სპეციალისტის დაქირავებაც (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი, პირადი ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი და სხვ.).

3.

მისაწვდომობის ცენტრის მოწყობის კიდევ ერთი ალტერნატივაა, ერთი თანამშრომლის დასაქმება, რომელიც კოორდინირებას გაუწევს სტუდენტების მხარდამჭერ მომსახურებას და ამასთანავე, ცენტრი ითანამშრომლებს სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მიმართულებით ექსპერტიზის მქონე ორგანიზაციებთან, რომლებიც, საჭიროების შემთხვევაში, იზრუნებენ უნივერსიტეტში, როგორც ინკლუზიური კლიმატის ფორმირებაზე, ასევე, მისაწვდომობის საკითხებში უნივერსიტეტის პერსონალის კომპეტენციის გაზრდაზე. აღნიშნული მოწყობა ასევე გულისხმობს, რომ კონკრეტული სტუდენტის შემთხვევაში, ცენტრს დამატებითი ადამიანური რესურსის/სპეციალისტის დაქირავება შეიძლება დასჭირდეს (მაგ. ჟესტური ენის თარჯიმანი, პირადი ასისტენტი, მობილობისა და ორიენტაციის სპეციალისტი და სხვ.), რისი პასუხისმგებლობაც შეიძლება თავად პარტნიორმა ორგანიზაციამ აიღონ ან პარტნიორი ორგანიზაციის რჩევის თანახმად, თავად უნივერსიტეტმა უზრუნველყოს.

მისაწვდომობის ცენტრის მოწყობის განხილული მოდელების მიღმა, ცალკეულმა უნივერსიტეტმა მისთვის ყველაზე რელევანტური განსხვავებული ალტერნატივა შეიძლება შეიმუშაოს და მისაწვდომობის ცენტრის შემადგენლობა, პოზიციები, სამუშაო აღწერილობები

და დასაქმების პირობები, ლოკალურად განსაზღვროს. უნივერსიტეტის მიერ შერჩეული მოდელი უნდა ითვალისწინებდეს კონკრეტული უნივერსიტეტის მასშტაბებს, რესურსებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტთა ყოლის სტატისტიკას და სხვა თავისებურებებს. მაგალითად, რაც უფრო დიდია უნივერსიტეტი, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ განსხვავებული საჭიროებების მქონე მეტი სტუდენტები ერიცხებოდეს და შესაბამისად, მით უფრო მეტად შეიძლება საჭიროებდეს სხვადასხვა პროფილის სპეციალისტთა ჯგუფის ყოლას. ნებისმიერ შემთხვევაში, მისაწვდომობის ცენტრის ფუნქციონირებისთვის დასჭირდება სულ მცირე ერთი მუდმივი თანამშრომელი და რეკომენდებულია, რომ აღნიშნული თანამშრომელი კომპეტენტური იყოს ინკლუზიის და მისაწვდომობის საკითხებში.

ამრიგად, მისაწვდომობის ერთეულის მოწყობა უნივერსიტეტებს შორის შეიძლება განსხვავდებოდეს, მთავარია, მაქსიმალურად უზრუნველყოფილი იყოს ცენტრის მიზნების და ამოცანების ეფექტიანად შესრულება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პოტენციური სტუდენტებისთვის/სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევა თავიანთი უფლებების და ხელმისაწვდომი მხარდაჭერის შესახებ (მათ შორის ფინანსური მხარდაჭერის).
- პროფესორ-მასწავლებლებისთვის რჩევების მიცემა/კონსულტაციის გაწევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტის სწავლასთან დაკავშირებულ აკომოდაციებსა და სხვა საჭირო მხარდაჭერაზე;
- უნივერსიტეტის აკადემიურ, ადმინისტრაციულ პერსონალს, სფეროს სპეციალისტებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს შორის ეფექტური კომუნიკაციის სისტემის უზრუნველყოფა სტუდენტისთვის საჭირო მხარდაჭერის დროული იდენტიფიცირებისა და გაწევისთვის;
- უნივერსიტეტში ინკლუზიური კლიმატის ფორმირება და სტუდენტთა მხარდამჭერი სისტემის/მომსახურებების მუდმივი განვითარება სტუდენტების დამოუკიდებელი სწავლისა და აკადემიურ და სოციალურ პროცესებში სრულფასოვანი ჩართულობისთვის.

თემატური ქვეჯგუფების ფორმირება მისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

მისაწვდომობის პრაქტიკაში უზრუნველყოფის მიზნით, უნივერსიტეტებმა შესაძლოა შეიქმნას ქვეჯგუფები (ქვეკომიტეტები), რომლებიც მისაწვდომობის უზრუნველყოფის სპეციფიკურ ასპექტებზე იმუშავებენ.

1. **ტექნოლოგიის მისაწვდომობის ქვეჯგუფი,** რომელიც პასუხისმგებელი იქნება უნივერსიტეტის ვებგვერდის და შიდა ციფრული კომუნიკაციის პლატფორმის მისაწვდომობის (რომელსაც პროფესორ-მასწავლებლები, ადმინისტრაცია და სტუდენტები იყენებენ ერთმანეთთან ინფორმაციის, დიდაქტიკური მასალის, სასწავლო აქტივობების გაზიარების საშუალებად) გაანალიზებასა და საჭიროების შემთხვევაში, მისაწვდომობის გაზრდაზე.

2. **ინფრასტრუქტურული მისაწვდომობის ქვეჯგუფი,** რომელიც ფოკუსირებული ქნება გონივრული ადაპტირების უზრუნველყოფაზე უნივერსიტეტის სასწავლო შენობაში, სტუდენტთა საცხოვრებელში და შენობის/შენობების გარე მისადგომებზე. უნივერსიტეტის სასწავლო შენობაში სტუდენტებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს არა მხოლოდ სალექციო აუდიტორიები და სველი წერტილები, არამედ, ადმინისტრაციული ნაწილი, უნივერსიტეტში არსებული სტუდენტური სივრცეები, კაფეტერია და სხვა.

3. **სასწავლო რესურსის/ბიბლიოთეკის მისაწვდომობის ქვეჯგუფი,** რომელიც პასუხისმგებელი იქნება ბიბლიოთეკის/სასწავლო რესურსის მისაწვდომობაზე (წიგნების გაციფრულება, აუდიო წიგნების მომზადება, ბრაილით ბეჭდვა, ეკრანის წამკითხველები) და ბიბლიოთეკის პერსონალის მომზადებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის ბიბლიოთეკის სივრცეში სათანადო დახმარების/მომსახურების გაწევის კუთხით და სხვა.

4. **კომუნიკაციის და ინტეგრაციის ქვეჯგუფი,** რომელიც ფოკუსირებული იქნება მისაწვდომობის ცენტრსა და უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტს შორის ეფექტური კომუნიკაციის და თანამშრომლობის სისტემის შემუშავებაზე, რათა ხელი შეეწყოს კონკრეტული სტუდენტების შემთხვევაში არსებული საჭიროებების დროულად განსაზღვრა-განხილვას და გასაწევ მხარდაჭერაზე ერთობლივი გადაწყვეტილებების მიღებას.

5. **ცნობიერების და კომპეტენციების გაზრდის ქვეკომიტეტი,** რომელიც იზრუნებს ინტერდისციპლინარული ვორქშოფების, სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზებაზე უნივერსიტეტის საზოგადოებაში მისაწვდომობის და შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ ცნობიერების ამაღლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის სასწავლო პროცესის აკომოდიასთან დაკავშირებულ საკითხებში პროფესორ-მასწავლებლების კომპეტენციების გაზრდის მიზნით. იგი ასევე პასუხისმგებელი იქნება სპეციალისტების მონაწილეობით სემინარების ჩატარებაზე თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის დამხმარე ტექნოლოგიებზე, ინკლუზიური განათლების, შეფასების მეთოდოლოგიებზე, ხელმისაწვდომი სასწავლო მასალების შექმნაზე და სხვა საკითხებზე.

6. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების აღრიცხვის ქვეჯგუფი,** რომელიც ფოკუსირებული იქნება მხარდაჭერის საჭიროების მქონე სტუდენტების შესახებ ინფორმაციის გენერირებაზე, რეესტრის წარმოებაზე და სანდო სტატისტიკის შექმნაზე. რეესტრი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სტუდენტის საჭიროებების/მდგომარეობის, სქესის, ასაკის, იმ პროგრამების შესახებ, რომელზეც ირიცხებიან (თუ ისინი უკვე ჩარიცხულნი არიან), ინფორმაციას სტიპენდიების, საჭირო და გაწეული აკომოდაციების/სერვისების შესახებ და სტუდენტის განათლების პროცესთან დაკავშირებულ სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. გამართული რეესტრი გაადვილებს, როგორც ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის პერსონალის დროულ ინფორმირებას სტუდენტის საჭიროებების შესახებ მისთვის ადეკვატური საგანმანათლებლო მხარდაჭერის გასაწევად, ასევე, უნივერსიტეტს დაეხმარება ზოგადად მისაწვდომობის მომსახურებების შემდგომ განვითარებაში.

7. **ინსტიტუციური მართვის ქვეჯგუფი,** რომელიც პასუხისმგებელი იქნება მისაწვდომობის ცენტრსა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას შორის პირდაპირი კავშირისთვის საჭირო პროცედურის განვითარებაზე, რაც მიზნად ისახავს ცენტრის მუშაობის მუდმივ ხელშეწყობასა და ინსტიტუციურ მხარდაჭერას კონკრეტული სამოქმედო პროტოკოლის მეშვეობით. ასევე, პასუხისმგებელი იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების ფინანსური მხარდაჭერის, სტიპენდიების, მხარდაჭერის მიღების და სხვა ინსტიტუციური პროცედურების მართვის ფორმირებაზე, რაც, მეტწილად, ადმინისტრირებას და ლეგალურ საკითხებს უკავშირდება.

8. **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების აკადემიური მხარდაჭერის და ორიენტაციის ქვეჯგუფი,** რომელიც ფოკუსირებული იქნება აკადემიური მხარდაჭერის მართვაზე, აკადემიური დახმარების (რეპეტიტორობა) და მოხალისეობის განვითარების გზით. ქმედებები მოიცავს აკადემიური დახმარების სტრატეგიის შემუშავებას სხვადასხვა პროგრამებისთვის/კურსებისთვის, რომელშიც ჩართული იქნებიან ფაკულტეტების ექსპერტებიც; მოხალისეობის პრაქტიკის დაარსებას და სტუდენტების მოხალისეობრივი მონაწილეობის წამახალისებელი სისტემის შექმნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის დახმარების გასაწევად (მაგ., სალექციო ჩანაწერების მომზადება, ბიბლიოთეკაში ასისტირება, სივრცეებში გადაადგილება და სხვა).

უნივერსიტეტის საზოგადოების მომზადება

მისაწვდომობის პრინციპების შესახებ სწორი და სრულფასოვანი ინფორმირებულობა, აუცილებელია, უნივერსიტეტის საზოგადოების ყველა წევრისთვის. ინკლუზიური უმაღლესი განათლების საკანონმდებლო ბაზა, შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების განათლებასთან დაკავშირებული ბარიერები, მხარდაჭერის და მისაწვდომობის უზრუნველყოფის საუკეთესო პრაქტიკა, იმ

საკითხთაგანაა, რომელთა ცოდნაც ყველასთვის მნიშვნელოვანია. ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემოს ზოგადი პრინციპის გარდა, პროფესორ-მასწავლებლებმა დამატებით უნდა იცოდნენ, თუ რა ბარიერებს უქმნის შეზღუდული შესაძლებლობა თუ სხვა მდგომარეობები სტუდენტს სწავლაში და რა ღონისძიებებია გასატარებელი სასწავლო პროცესზე სტუდენტების მისაწვდომობის გასაზრდელად. აღნიშნულ საკითხებზე ორგანიზებული ტრენინგები და კონსულტაციები დაეხმარება ფაკულტეტის წარმომადგენლებს უზრუნველყონ სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი სასწავლო პროცესი. ამ მიმართულებით, საერთაშორისო გამოცდილება შემდეგი ასპექტების გათვალისწინებას გვთავაზობს:

1. ვრცელი ტრენინგების მომზადება და უზრუნველყოფა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: განათლებასთან დაკავშირებულ სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის პრობლემების და სხვა მდგომარეობებით განპირობებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები; შესაძლო აკომოდაციები/ადაპტაციები და ხელშეწყობები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს უნივერსიტეტში სტუდენტთა აღნიშნული ჯგუფის განათლების ხელშესაწყობად. განათლების მისაწვდომობაზე ორგანიზებული ტრენინგები სავალდებულო უნდა იყოს უნივერსიტეტის პერსონალისთვის, მათ შორის, ახალი თანამშრომლების დასაქმების პროცესშიც. ტრენინგები შეიძლება ორგანიზებული იყოს როგორც პირისპირ, ასევე, ონლაინ ფორმატში მასში მონაწილეობის გასაადვილებლად. აღნიშნული ტრენინგი შემდეგ ძირითად თემატიკას უნდა ფარავდეს:
ა) ინკლუზიური უმაღლესი განათლების/მისაწვდომობის შესახებ კანონმდებლობა;
ბ) უნივერსიტეტის ინსტიტუციური პოლიტიკა მისაწვდომობისა და ინკლუზიის შესახებ;
გ) უნივერსიტეტში ხელმისაწვდომი დამხმარე სერვისები და სპეციალიზებული პერსონალი;
დ) შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების სახეები (მათ შორის ნაკლებად შესამჩნევი, როგორიცაა მაგალითად მხედველობის დაქვეითება, ყურადღების დეფიციტი, დასწავლის უნარის დაქვეითება) და სხვადასხვა შემზღუდველი მდგომარეობის მქონე სტუდენტების სპეციფიკური საგანმანათლებლო საჭიროებები;
ე) უნივერსალური დიზაინის კონცეფცია და პრაქტიკაში განხორციელება;
ვ) სწავლის ხელშემწყობი სტრატეგიები და აკომოდაციები;
ზ) სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებთან კომუნიკაციისა და ურთიერთობის კულტურა და ეტიკეტი;
თ) უნივერსიტეტის როლი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების კარიერის დაგეგმვასა და დასაქმების ხელშეწყობაში.

2. ტრენინგების გარდა, მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიების განხორციელება, რომლებიც ხელს შეუწყობს შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ უნივერსიტეტის საზოგადოებაში ცნობიერების ამაღლებას, მეგობრული გარემოს შექმნას, განსხვავებული საჭიროებების მქონე

სტუდენტების არამარტო აკადემიურ, არამედ, სოციალურ სტუდენტურ აქტივობებში სრულფასოვან მონაწილეობას.
ცნობიერების ამაღლების ღონისძიებების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, თუ როგორია თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების აღქმა თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილების შესახებ და რომელი სფეროები მოითხოვს გაუმჯობესებას უნივერსიტეტის მხრიდან.

მომსახურების უწყვეტი გაუმჯობესების და ხარისხის შეფასების შიდა სისტემის

მისაწვდომობის ცენტრს შემუშავებული უნდა ჰქონდეს თავისი მისიის, დასახული ამოცანებისა და არსებული სტანდარტების შესაბამისი შედეგების დემონსტრირების სისტემა, რომელიც უნივერსიტეტის ინსტიტუციური გეგმის ნაწილი იქნება.

მისაწვდომობის ცენტრმა ხარისხის შეფასება უნდა განახორციელოს შემდეგი ძირითადი ხუთი განზომილების მიხედვით:

- ⇒ **ფიზიკური გარემო და დამხმარე საშუალებები** - აფასებს/ზომავს უნივერსიტეტის შესაძლებლობას უზრუნველყოს მისაწვდომი ფიზიკური გარემო და შესაბამისი საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის;
- ⇒ **სწავლის მისაწვდომობა** - აფასებს/ზომავს უნივერსიტეტის შესაძლებლობას, უზრუნველყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მისაწვდომობა საგანმანათლებლო პროგრამებზე/კურსებზე, სასწავლო პროცესზე;
- ⇒ **კომუნიკაცია** - აფასებს/ზომავს თუ რამდენად აქვს შესაძლებლობა პერსონალს და თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებს გამოთქვან უკუკავშირი მისაწვდომობის სერვისებზე;
- ⇒ **უნივერსიტეტის კლიმატი** - აფასებს/ზომავს უნივერსიტეტის საზოგადოებაში მრავალფეროვნების გააზრების დონეს, დამოკიდებულებებსა და მგრძნობელობის ხარისხს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროებების მიმართ;
- ⇒ **სერვისის მიწოდება** - აფასებს/ზომავს მისაწვდომობის მომსახურების გაწევის პროცედურის გამართულობასა და დროულობას, მათ შორის სტუდენტების მხარდაჭერისთვის საჭირო დაფინანსების უზრუნველყოფის თვალსაზრისითაც.

უნივერსიტეტში მისაწვდომობის მომსახურების ხარისხის შეფასება შემდეგ ნაბიჯებს მოიცავს:

- ✓ კრიტერიუმების ნუსხის განსაზღვრა ქვეყანაში არსებული სტანდარტების და სამეცნიერო ლიტერატურაში მოცემული ხარისხის კრიტერიუმების გათვალისწინებით და მათზე დაყრდნობით ხარისხის შეფასების შესაბამისი ინსტრუმენტის შექმნა;
- ✓ თვითშეფასების ჯგუფის/კომისიის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და უნივერსიტეტის სხვა პერსონალი (მათ შორის ადმინისტრაციის წარმომადგენლები);
- ✓ ინსტრუმენტის გამოყენებისთვის სამიზნე პოპულაციის განსაზღვრა. მაგალითად, გარკვეული ასპექტები ფასდება მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების მიერ, ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტების და სხვა სტუდენტების მიერ;
- ✓ თვითშეფასების დაგეგმვა - ინსტრუმენტის გამოყენების პერიოდის/თარიღების განსაზღვრა და მონაცემთა ანალიზის/დამუშავების სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- ✓ თვითშეფასების ინსტრუმენტის გამოყენება;
- ✓ სადისკუსიო შეხვედრების გამართვა გაუმჯობესების კონკრეტული ასპექტების განსაზღვრის და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ აღნიშნული ტიპის თვითშეფასება წარმოადგენს უნივერსიტეტის საერთო პრაქტიკის ნაწილს, მიზანშეწონილია, განიხილოს გარე ექსპერტების ჩართვაც მისაწვდომობის ცენტრის მიერ გაწეული მომსახურების ეფექტურობის და ზოგადად, უნივერსიტეტში მისაწვდომობის ხარისხის შესაფასებლად.

სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დაფინანსება

საერთო ბიუჯეტის ფარგლებში, უნივერსიტეტს გამოყოფილი უნდა ჰქონდეს გარკვეული ფინანსები, რომლებიც ინკლუზიის განვითარებასა და მისაწვდომობის გაზრდის ღონისძიებებს მოხმარდება (მაგ., ტრენინგები, ცნობიერების ამაღლების ინიციატივები, ფიზიკური გარემოს ადაპტაცია და სხვა). ამასთანავე, ცალკეულმა უნივერსიტეტმა შეიძლება შეიძინოს გარკვეული დამხმარე საშუალებები (მაგ. ბრაილის საბეჭდი მოწყობილობა, ეკრანის გამადიდებელი, აუდიო ჩამწერები, დამხმარე პროგრამები და სხვა), რომლებსაც გრძელვადიანად გამოიყენებს სხვადასხვა სტუდენტის სწავლის მხარდასაჭერად. ასევე, უნივერსიტეტმა ეტაპობრივად უნდა დაიწყოს ზრუნვა ძირითადი საკითხავი მასალის აუდიო ვერსიების მომზადებაზე, ბიბლიოთეკაში არსებული წიგნების გაციფრულებაზე, ვებგვერდის და სტუდენტებისთვის შექმნილი შიდა საკომუნიკაციო პლატფორმის ადაპტირებაზე, რაც, გრძელვადიან პერსპექტივაში, არაერთი სტუდენტისთვის იქნება სარგებლის მომტანი.

ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ მისაწვდომობის ცენტრის თანამშრომელი/თანამშრომლები უნივერსიტეტის პერსონალს წარმოადგენს, უნივერსიტეტმა თავისი ბიუჯეტის ფარგლებში აღნიშნული თანამშრომლების დაქირავების ხარჯიც უნდა გაითვალისწინოს.

მისაწვდომობის ცენტრის თანამშრომლების ანაზღაურების და ინკლუზიის ხელშემწყობი სხვა ზოგადი ხარჯების გარდა, ცალკეული სტუდენტის განათლების მხარდაჭერა, შესაძლოა, დამატებით ხარჯებთან იყოს დაკავშირებული (მაგ., დამხმარე საშუალება, სტუდენტის ტრანსპორტირებით ან/და ინდივიდუალური ასისტენტით უზრუნველყოფა და სხვა). აღნიშნული ხარჯები ასევე დამოკიდებული იქნება იმაზე, უნივერსიტეტი გარე პირებს ქირაობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის ასისტირების გასაწევად, თუ დამკვიდრებული აქვს სტუდენტების ჩართულობის/დასაქმების სისტემა, როდესაც თავად უნივერსიტეტის სტუდენტები ხდებიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდამჭერები/ასისტენტები (მაგ., გადაადგილებაში დახმარება, ბიბლიოთეკაში ლიტერატურის მოძიება, მასალის გაციფრულება და სხვა). რასაკვირველია, ასისტირების გაწევის შემთხვევაში, ხდება სტუდენტის ფინანსური წახალისება ან მისი სწავლის გადასახადის განსაზღვრული ოდენობით შემცირება.

ამასთანავე, როგორც დოკუმენტში იყო აღნიშნული, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდასაჭერად გაწეული ყველა აკომოდაცია/მომსახურება არ მოითხოვს სპეციფიკურ ფინანსებს (მაგ., პრეზენტაციების და სწავლის მეთოდების მორგება, შეფასებისთვის ცალკე სივრცის გამოყოფა, დროის გახანგრძლივება და სხვა), თუმცა, თავისთავად მოითხოვს უნივერსიტეტის თანამშრომელების და პროფესორ-მასწავლებლების გადამზადებასა და კომპეტენციების გაზრდაზე ხარჯის გაწევას.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების უმაღლესი განათლების მხარდამჭერი მომსახურებების დაფინანსების განსხვავებული მოდელი შეიძლება არსებობდეს. მაგალითად, შეიძლება განსაზღვრული იყოს დაფინანსების სტანდარტული ოდენობა, რომელიც ე.წ. ვაუჩერის სახით სტუდენტს უნივერსიტეტში მიჰყვება მას შემდეგ, რაც მისი შეზღუდული შესაძლებლობა/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება დადასტურდება. ვაუჩერი სტუდენტს ერთი უნივერსიტეტიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაშიც გადაჰყვება. ან, შესაძლოა კონკრეტული მომსახურება/დამხმარე მოწყობილობა იყოს განფასებული და შესაბამისად, სტუდენტების დაფინანსება ვარირებდეს მათთვის განსაზღვრული მხარდაჭერის მიხედვით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელი ასევე დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ სხვადასხვა მომსახურებაზე. მაგალითად, თუ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური ასისტენტის, გამცილებლის ან ჟესტური ენის

თარჯიმნის მომსახურება ფინანსდება სხვა უწყების მიერ, მაშინ, აღნიშნული მომსახურების ხარჯი აღარ წარმოიქმნება განათლების სისტემაში/სექტორში.

ამრიგად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების მხარდამჭერი მომსახურებების დაფინანსების მოდელის შემუშავება, არაერთი უწყებისა და ორგანიზაციის ჩართულობას და ქვეყანაში სხვადასხვა სექტორში არსებული მომსახურებების ანალიზს მოითხოვს.

იმის მიუხედავად, თუ დაფინანსების რომელი მოდელი შემუშავდება, მნიშვნელოვანია, რომ ის მაქსიმალურად მოქნილი იყოს და არ აფერხებდეს სტუდენტის საუნივერსიტეტო განათლებას.

დამატებითი რეკომენდაციები უნივერსიტეტებში ხელმისაწვდომობის მომსახურების (სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების) დანერგვისთვის

- უნივერსიტეტებში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების დანერგვის საწყის ეტაპზე, რეკომენდებულია, სხვადასხვა უნივერსიტეტის წარმომადგენლების მონაწილეობით სამუშაო შეხვედრების ციკლის ორგანიზება, რომლის ფარგლებშიც, მოხდება უნივერსიტეტებში სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების/მისაწვდომობის ცენტრის გზამკვლევის განხილვა-გაანალიზება და უნივერსიტეტის წარმომადგენლები ერთობლივად იმუშავებენ მისაწვდომობის მომსახურების დაფუძნების საკითხებზე, მათ შორის, შეთანხმდება მომსახურების ყველაზე რელევანტური დასახელება და განხილულ იქნება დაფინასების სარეკომენდაციო მოდელებიც.
- რეკომენდებულია, შეზღუდული შესაძლებლობის/სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების სფეროს ექსპერტების (მაგ., მხედველობის, სმენის, ფიზიკური/მოტორული, დასწავლის სპეციფიკური სირთულეების, აუტიზმის, ფსიქიკური ჯანმრთელობის, დამხმარე ტექნოლოგიების და სხვა) მრჩეველთა ჯგუფის ფორმირება, რომელიც მისაწვდომობის მომსახურების განვითრების საწყის ეტაპზე (და შესაძლოა შემდგომაც), უნივერსიტეტებს გაუწევს საკონსულტაციო მომსახურებას მისაწვდომობის ცალკეული ასპექტის შეფასების და გაზრდის კუთხით. აღნიშნული მრჩეველთა ჯგუფის ფორმირება უნივერსიტეტების ერთობლივი ძალისხმევითაც შეიძლება მოხდეს.
- რეკომენდებულია, უნივერსიტეტებმა იზრუნონ თავიანთი ლოკალური ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების გადამზადებაზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის დამხმარე პროგრამების/ტექნოლოგიების უზრუნველყოფის მიმართულებით.
- მიუხედავად იმისა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის /სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ყოველი სტუდენტის შემთხვევაში ინდივიდუალურად განიხილება სტუდენტისთვის საჭირო მხარდაჭერა/მომსახურება, რეკომენდებულია,

უნივერსიტეტებისთვის შემუშავდეს პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელშიც მოცემული იქნება თუ რა სირთულეებია დამახასიათებელი კონკრეტული ტიპის შეზღუდული შესაძლებლობის თუ სხვა მდგომარეობის მქონე სტუდენტებისთვის უმაღლეს განათლებაში და რა მხარდამჭერი ზომები გამოიყენება. აღნიშნული სახელმძღვანელო ღირებული რესურსი იქნება, როგორც მისაწვდომობის ცენტრის თანამშრომლებისთვის, ასევე, პროფესორ-მასწავლებლებისათვის. სახელმძღვანელოს შემუშავება მიზანშეწონილია სხვადასხვა სფეროს ექსპერტების მონაწილეობით.

გამოყენებულ წყაროები

- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (2004 წ.);
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N263 2023-2024 სასწავლო წლისათვის სახელმწიფო სასწავლო გრანტის წლიური მოცულობების, ოდენობებისა და პროგრამული დაფინანსების მოცულობის განსაზღვრის შესახებ;
- საქართველოს მთავრობის დადგენილება N323 2023-2024 სასწავლო წელს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული მაგისტრანტების სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით დაფინანსების ოდენობისა და პირობების განსაზღვრის შესახებ;

- უმაღლესი ინკლუზიური განათლება - კანონმდებლობის მიმოხილვა (2022 წელი). ლია ქურციკიძე, შოთა ზურაბიშვილი;
- „უმაღლესი განათლების მისაწვდომობის მოდელი“ (2018 წ.). ორგანიზაცია მარიანი.
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N99/ნ ბრძანება (2010) საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ;
- უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების საჭიროების კვლევა (2022). ააიპ - საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია.
- საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ (2020 წ.).
- A University Handbook For Accessibility Services (2022). University of La Verne https://laverne.edu/accessibility/wp-content/uploads/sites/19/2022/01/Accessibility-Services-Handbook.pdf
- Evans, C., & Zhu, X. (2022). The Disability Inclusion Institutional Framework. University of Lincoln, UK, University of Southampton, UK.
- Mendoza-González, R.; Luján-Mora, S.; Otón-Tortosa, S.; Sánchez-Gordón, M.; Rodríguez-Díaz, M.A.; Reyes-Acosta, R.E. Guidelines to Establish an Office of Student Accessibility Services in Higher Education Institutions. Sustainability **2022**, 14, 2635. https://doi.org/10.3390/su14052635
- University of Galway. Disability Support Service Data-Protection Notice https://www.universityofgalway.ie/media/disabilitysupportservice/University-of-Galway-Data-Protection-Notice.pdf
- Universal Design in Higher Education: From Principles to Practice. (2010). United States: Harvard Education Press.

სასარგებლო ბმულები:

https://www.bath.ac.uk/professional-services/disability-service/

https://www.bestcolleges.com/blog/how-to-access-college-disability-services/

https://www.arcadia.edu/academics/resources/disability-support-services/register-with-disability-support-services/

https://liu.edu/student-success/learning-center/disability-support-services

https://www.universityofgalway.ie/disability/

https://www.nottingham.ac.uk/studentservices/servicedetails/disability-support-services/disability-support-services.aspx

https://www.stangelas.ie/media/stangelascollege/files/Disability%20Support%20Service%20Student%20Handbook%202021-2022.docx